140
1958/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

9
სექტემბერი
1958




## საყვარელო,
## სასახელო...

აფრენილო მერცხალი ხარ,
გაზაფხულის სუნთქვით სავსე,
წარსულს გაჰყვა შენი მწუხრი,
სისხლისღვრა და ცრემლი თვალზე.

მიყვარს ხეზე კვირტის ფეთქვა,
გაზაფხულის ნიაღვრები,
ღამით სიო მონავარდე,
ლამპიონთა ჩირაღდნები.

და შენს მთებზე გადაღვრილი
დილის სხივი ალისფერი,
სამგორის ზღვის ლურჯი ტალღა,
დიღმის ზვრებში ვაზის ტევრი.

სიმღერებში შობილი ხარ,
არ დაბერდი შავ უკუნეთს,
ხობბის ქალაქს გისრულდება
წელს თხუთმეტი საუკუნე!

დაე, უფრო გალამაზდი,
საყვარელო, სასახელო,
საქართველოს წინამძღვარო,
თვით პატარა საქართველოვ!

ბესიკ ჯორბენაძე,
თბილისის პირველი საშუალო
სკოლის მოსწავლე.

პლაკატი
მხატვარ ირ. გორდელაძისა

# პიონერი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი

9

სექტემბერი
1958

გამოცემის წელი
XXXII


---


რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი)
მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი).



ს ა გ ლ ი ტ გ ა მ ი


მუსიკა მ. დავითაშვილისა — ლექსი ხ. ბერულავასი

## სიმღერა თბილისზე




აქ დაეცა გორგასალის ისარი,
აქ აენთო ჩემი ქვეყნის ცისკარი
და ზეიმობს მთელი ჩემი ქვეყანა,
რომ თბილისი ათასხუთას წლის არი!

საქართველოს ყველა კუთხის შვილებმა,
ოსტატებმა, მეომრებმა, გმირებმა
ალაშენეს ეს უკვდავი ქალაქი,
როგორც ქვეყნის სამუდამო დიდება.

დახშულია მტრისთვის მისი კარები,
ღია არის ძმისთვის მისი კარები
და გუგუნებს ჩვენი დედაქალაქი
სალხინო და საზეიმო ზარებით.

დაცულია სიყვარულის თილისმით,
როგორც მუდამ გამარჯვებით ივლის წინ.
დაე, მუდამ კაშკაშებდეს ჩირაღდნად
ჩვენი დედა, ჩვენი ტკბილი თბილისი.


საჯარო ბიბლიოთეკა



ფოტო გ. შენგელიასი

# ქართველი ერის სიამაყე

1958 წლის ოქტომბერში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი ზეიმით აღნიშნავენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის—თბილისის 1500 წლისთავს.

ეს სახელოვანი იუბილე დღესასწაულია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის, ვინაიდან თბილისთან არის დაკავშირებული ქართველი ხალხის მთელი ისტორია, მისი ძველი კულტურა, მებრძოლი, კეთილშობილური, სტუმართმოყვარე ხასიათი და ვინც პატივს სცემს ქართველ ხალხს, ვინც აფასებს მის წარსულს, ხედავს მის აწმყოს, არ შეიძლება არ უყვარდეს თბილისი.

იშვიათად თუ მოიძებნება მსოფლიოში მეორე ქალაქი, რომელსაც ასეთი ძველი ისტორია ჰქონდეს და ამასთან დღესაც ესოდენ დიდ როლს თამაშობდეს ქვეყნის ცხოვრებაში, როგორიც თბილისია.

ულმობელმა ისტორიამ მრავალი უძველესი ქალაქი აღგავა მიწის პირიდან. რაღა არ იყო მიზეზი—აკლება, ეპიდემიები, სავაჭრო გზების გადანაცვლება, მეტოქეების წყალობით წარმოების შესუსტება და ბევრი სხვა უფრო დიდი, თუ მცირე უბედურება, ხან ცალ-ცალკე, ხან ერთად რომ დაეხვევოდნენ ხოლმე ქალაქებსა და სახელმწიფოებს.

ათასგვარი უბედურება გადაიტანა თბილისმაც, იგიც მრავალჯერ აიკლეს, მასაც მოედო ეპიდემიები, გადაინაცვლა სავაჭრო გზებმა, მტრის ულმობელი თავდასხმებისა და შინაგამცემლობის წყალობით ოცდაექვსჯერ დაეცა ქალაქი. ვის არ აღუმართავს მის თავზე მახვილი: ბიზანტიელები თუ არაბები, ხაზარები თუ სელჯუკები, თურქები და სპარსელები ანგრევდნენ, წვავდნენ ქალაქს, ანადგურებდნენ მის მოსახლეობას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მარტო ბუღა-თურქის შემოსევის დროს, 853 წელს, თბილისში ორმოცდაათი ათასი მცხოვრები დაიღუპა. მაგრამ ქართველი ხალხის მამაცობამ, სამშობლოსადმი სიყვარულმა, ოცდაექვსჯერვე იხსნა სავსებით განადგურების პირამდე მიყვანილი დედაქალაქი.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლო წლებიდან მტრების შემოსევამ ერთგვარად იკლო. გამოცოცხლდა ქალაქის მეურნეობა, გაიზარდა ვაჭრობა, გამრავლდა მოსახლეობა. მაგრამ შემდეგ სპარსეთის თუ თურქეთის გამუდმებული შემოსევებისა, განსაკუთრებით კი მურვან-ყრუს ულმობელი ლაშქრობის შედეგად, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქის მოსახლეობა 15—20 ათასამდე შემცირებულა. ასე, წელში მოდრეკილმა, ჭარმაგმა მოხუცმა—თბილისმა, როგორც იქნა, მოაღწია 1801 წელს. ამ ხნიდან თბილისი განვითარების ახალ, განსაკუთრებულ პერიოდში შევიდა.

იმდროინდელი მეფის რუსეთი, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდა საქართველო, 1801 წლიდან, სრულიადაც არ ზრუნავდა თბილისის გაშენებასა და აყვავებისათვის. როგორც მთელ საქართველოს, ისე თბილისსაც, მეფე როგორც კოლონიას ისე უყურებდა, მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მაინც უდიდესი როლი შეასრულა თბილისისათვის, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოში მოისპო დაქსაქსული ფეოდალური სამთავროები, და მეორე, კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად სწრაფი ნაბიჯებით განვითარდა კაპიტალიზმი, ამან კი თავის მხრივ, წარმოშვა ფაბრიკა-ქარხნები, გაზარდა ქალაქის მოსახლეობა.

თუ ცარიზმი საქართველოს კოლონიად თვლიდა, ქართველმა ხალხმა რუს თანამოძმეებში ძმური მხარდაჭერა და სიყვარული ჰპოვა. ჩვენი ხალხის ერთმანეთთან დაახლოების კეთილშობილურ საქმეში დიდი როლი შეასრულეს გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა და მწერლებმა: ა. პუშკინმა, ილია ჭავჭავაძემ, მ. ლერმონტოვმა, აკაკი წერეთელმა, ა. გრიბოედოვმა, ნიკო ნიკოლაძემ, ლ. ტოლსტოიმ, პ. ჩაიკოვსკიმ და სხვებმა.

მთელი მეცხრამეტე საუკუნე თბილისისათვის მშვიდობიანი განვითარების პერიოდი იყო. ამ წლებში ქალაქი დიდად გაიზარდა, დამშვენდა. იგი მთელი საქართველოს კულტურული და პოლიტიკურ-სამეურნეო ცხოვრების მამოძრავებელ ძალად გადაიქცა.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, როდესაც კლასობრივ ბრძოლაში სულ უფრო მეტად ჩაება რუსეთის მუშათა კლასი, თბილისშიც დაიწყო ჩამოყალიბება სოციალ-დემოკრატიულმა რევოლუციურმა წრეებმა.

დადგა რევოლუციის გარიჟრაჟი.

დაიწყო დიდი ბრძოლა, ამ ბრძოლაში თანდათან იწრთობოდა შესანიშნავ რევოლუციონერთა მთელი არმია, რომელთა გმირულ მოღვაწეობას დიდად აფასებდა ლენინი.

თბილისის პროლეტარიატი მუდამ მოწინავეთა რიგებში იყო, და როდესაც რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში მენშევიკური ხელისუფლება დამყარდა, თბილისელმა მუშებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გააგრძელეს ბრძოლა ქართველი ხალხის გახათავისუფლებლად.

1921 წელს ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის დახმარებით საქართველოს მუშებმა დაამხეს მენშევიკური დიქტატურა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. „ლ ე ნ ი ნ ს, ს ტ ა ლ ი ნ ს. თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"—მთელ ქვეყანას ახარა სერგო ორჯონიკიძემ.

ხალხმა შვება იგრძნო, დაირაზმა პარტიისა და ხელისუფლების გარშემო და დაიწყო ახალი ცხოვრების შენება.

პირველ ხუთწლედებშივე თბილისი მძლავრ ინდუსტრიის ქალაქად გადაიქცა. აშენდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა, გადაკეთდა ძველი საწარმოები.

შრომაში, მშენებლობაში გაიარა წლებმა.

საოცრად შეიცვალა სახე თბილისმა.


Секретарь Члена Революционного Военного Совета Кавказского фронта
Р С Ф С Р
Д. Красной Армии
Баку 25/II 21 г.
Над Тифлисом реет красное знамя советской власти.
Да здравствует советская Грузия!
Орджоникидзе

**დეპეშის ასლი, რომელიც სერგო ორჯონიკიძემ 1921 წლის 25 თებერვალს გაუგზავნა ლენინსა და სტალინს საქართველოს გასაბჭოების დღესთან დაკავშირებით.**



ალბათ ყველას გინახავთ კირო-ვის სახელობის პარკში მარჯვნივ რომ ღრმა ხრამია. აქ მალე აიგე-ბა „მწვანე" (ღია) თეატრი

ძნელია არ შეამჩნიო ქალაქის ზრდა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში თქვენი თაობის თვალწინ ქალაქი გასცდა ომამდელ ფარგლებს, გავიდა საბურთალოს და დიღმის ველზე, ორთაჭალისა და ავჭალის მინდვრებში.

ქალაქის სწრაფი ზრდისა და განვითარების დამადასტურებელია ისიც, რომ დღეს თბილისში 1228 სამრეწველო საწარმოა. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია ორმოცდაათჯერ აღემატება 1913 წლის დონეს.

დღეს თბილისი მოწინავე სოციალისტური კულტურის ქალაქია. ჩვენს მეცნიერებს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ მეცნიერებს შორის, მათი სახელი ცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებსაც. თბილისის ათობით უმაღლესი სასწავლებელი ყოველწლიურად ათასობით შესანიშნავ კადრებს უგზავნის ჩვენს ქვეყანას.

ჩვენს ქალაქში შრომობს მწერალთა, კომპოზიტორთა მხატვართა, მსახიობთა დიდი კოლექტივი. დიდი წარმატება აქვს საკავშირო ეკრანზე თბილისის კინოსტუდია—„ქართული ფილმის" სურათებს. ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების ნაყოფიერი შრომა ნათლად გამოჩნდა ახლახან მოსკოვში გამართულ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

თბილისში სწავლობს და იზრდება ათასობით ახალგაზრდა „თბილისის პატარა მოქალაქე"; ყველა მათგანი შეყვარებულია თავის ქალაქზე, უფრთხილდება მის სახელს და უფროსებთან ერთად უვლის და აშენებს მას.

ბოლო ხანებში, განსაკუთრებით კი 1956—57 წლებში დიდი გასაქანი მიეცა საბინაო მშენებლობას, მარტო სახელმწიფო ხაზით აშენდა და საცხოვრებლად გადაეცა 35 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე მთელ მეხუთე ხუთწლედში. მიმდინარე წელს თბილისელები მიიღებენ ათი ათასობით კვადრატულ მეტრ. ახალ საცხოვრებელ ფართობს.

დიდად არის გაუმჯობესებული ქალაქის სამედიცინო მომსახურების საქმე, ახლა თბილისს ემსახურება 4731 ექიმი, 1913 წელს კი თბილისში მხოლოდ 53 ექიმი იყო!

ქალაქში აშენდა ბევრი ახალი მაგისტრალი, კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდა გარეუბნები. თბილისის მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია ტრანსპორტის გაზრდა, თუ 1881 წელს ქალაქში კონკის ხაზი მხოლოდ სადგურიდან დღევანდელ ლენინის მოედნამდე მიდიოდა, ახლა ქალაქი დაქსელილია ტროლეიბუსების, ავტობუსების, ტრამვაის უამრავი მარშრუტებით; მსუბუქსა და სატვირთო მანქანებთან ერთად მათ ასი ათასობით მგზავრი გადაჰყავთ ყოველდღე.



ახლოვდება საყვარელი ქალაქის იუბილე.

ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისში უამრავი ახალი სამუშაო მიმდინარეობს. 18 ოქტომბრისათვის განზრახულია დამთავრდეს ახალი შესანიშნავი გზის მშენებლობა, რომელიც ვაკესა და საბურთალოს, ვერის ხევზე გავლით, ერთმანეთთან დააკავშირებს; იმ მიზნით, რომ რუსთაველის შედარებით მცირე მოედანი განტვირთული იქნეს ტრანსპორტის ხშირ მოძრაობისაგან, გაყვანილი იქნება ქუჩა ელბაქიძის აღმართის გასწვრივ, ეს ქუჩა რუსთაველის პროსპექტთან შექმნის ახალ, ლამაზ მოედანს; სასტუმროების სიმცირე ნაწილობრივ შეივსება მელიქიშვილის ქუჩაზე დიდი სასტუმროს — „საქართველოს" აგებით; გაგრძელდება ბარნოვის ქუჩის რეკონსტრუქცია. გაფართოვდება ფალიაშვილის, ლისის, პავლოვის ქუჩები. თბილისის ახალგაზრდობა ორთაჭალაში მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს — ახალ ღია საცურაო აუზს, რომელიც სამი ათას მაყურებელს დაიტევს. საიუბილეო დღეებში მეტეხის ციხის კლდეზე საფუძველი ჩაეყრება თბილისის



# 1500

[redacted]

დამაარსებლის—ვახტანგ გორგასალის ძეგლს. მგლისჩაფხუტიანი მხედარი გადახედავს გოგირდოვან წყლების ხეობას, სადაც ოდესღაც მან ხოხობი დასჭრა. თბილისისაკენ მომავალ სამ ძირითად გზატკეცილზე დაიდგმება საზეიმო შესასვლელები.

ბევრ საჩუქრებს უმზადებენ თავიანთ დედაქალაქს საქართველოს მშრომელები: ბათუმელები თბილისის ზღვისათვის გემს აშენებენ, ქუთაისელები იუბილესათვის კიკვიძის ძეგლს დადგამენ გმირების მოედანზე...

ყველაფერი ეს მოწმობს მშრომელთა დიდ სიყვარულს თავიანთი ქალაქისადმი, მათ მისწრაფებას—ახალი შრომითი გმირობით ასახელონ თავიანთი ქალაქი და უსაყვარლესი სამშობლო.

დიდი ლენინი გვასწავლის, რომ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწევებით, და განა მართლაც ცოტა რამ არის გასაკეთებელი ჩვენს ქალაქში? ბევრი ახალის გაკეთებაა საჭირო, ბევრი ახალის შექმნა და მოწყესრიგება. ამ საქმეში დიდი როლი სწორედ თქვენ გაქვთ დაკისრებული ბავშვებო, რადგან თქვენ ხართ ქალაქის მომავალი, მისი ბატონ-პატრონნი.

აშენეთ, მოუარეთ თქვენს დედაქალაქს. გახსოვდეთ, რომ ის რაც თქვენ დღეს გახარებთ, გახალისებთ, ის მშვიდობიანი და ხალისიანი ცხოვრება, რომელიც თქვენს გარშემო სუფევს, თქვენი წინაპრების, თქვენი პაპებისა და მამების თავდადებული ბრძოლითა და შრომით არის შექმნილი, დააფასეთ იგი!



ჩელუსკინელთა ქუჩამ ამ ოციოდე წლის წინ გაჭრა გორაკი. გორაკის ერთ მხარეზე დღეს ცირკია წამომდგარი. მეორე მხარეზე კი უახლოეს წლებში განზრახულია აიგოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეს შესანიშნავი შენობა.



საიუბილეო დღეებში თბილისს დაამშვენებს ახალი მაგისტრალი, რომელიც ელბაქიძის აღმართს შეაერთებს რუსთაველის პროსპექტთან.



არქიტექტორმა ა. ქურდიანმა შეადგინა ტელეცენტრის სტუდიის პროექტი. იგი საბურთალოზე აშენდება და ახალ თბილისს დაამშვენებს.



# თბილისო, ჩვენო თბილისო!..

მოდიოდა ერთზე ასი,
გზა გვშვენოდა დიდების;—
ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი
ბედთან არ დარიდების.

სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ დახარა
ავდგეთ ფეხზე! ჩვენ თბილისი
ვადღეგრძელოთ ჰალარა...!

შენზე ლამაზი ვინა თქვას,
ნაშობო ქარტეხილისო,
მზე რომ ჩაგივლის ნარგიზად,
ვარდებით ამოგივლისო.

* * *

ბრწყინავს ახალი თბილისი
ძველი ქალაქი ქართული,
აყვავებული, გაშლილი,
ამაყად წელგამართული.
მშვენიერდება, შენდება,
სართულს მიჰყვება სართული;
ბრწყინავს ახალი თბილისი—
სახელოვანი, განთქმული.

* * *

მოდით, მგოსნებო, გაიხარენით,
გადმოიღვარეთ ხალხში ლექსებად,
აღდგა თბილისის შემოგარენი
და მზე სამშობლოს ეალერსება.

ნახ. გ. რონიშვილისა

* * *

შენ სულ სხვაგვარი ეშხი გაქვს,
სხვა ზურმუხტი და ლალები,—
სამშობლოს ნატვრისთვალი ხარ,
თბილისო, გენაცვალები!

* * *

შენს ალაყაფთან მსურს დავალაგო
ლექსები, როგორც სისხლის წვეთები...
მილიონ ხმებით სავსე ქალაქო,
დიდი სატახტო ხარ პოეტების!

მიყვარს,
თბილისო,
შენი ცხოვრების
განუწყვეტელი ღელვა,
დინება;
შრომის გუგუნი
შეუპოვრების
და არნახული
აღორძინება!

... ბრძანა და უცბად აშენდა
ნარი, მეტეხი, ისანი—
მტრისათვის მიუკარები
კარები კრწანისისანი,
და ახლა თბილის-ქალაქი
ათასხუთასი წლის არი.

მთაო მაღალო! მიწაზე დგახარ,
თუ ჰაერში ხარ აყვავებული?
ახალ თბილისის მარჯვენა ფრთა ხარ,
წამოსაფრენად გამზადებული.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემმა მეგობარმა, არქეოლოგმა ტარიელ შარაშიძემ, ტელეფონით დამირეკა, სასწრაფოდ ჩამოდი ანჩისხატის ტაძართან, ისეთ გასაოცარ რამეს ნახავ, რის მსგავსი მსოფლიოში არავის ექნება ნახულიო.

ვიცოდი, რომ ძველ თბილისში ჩვენი არქეოლოგები გათხრებს აწარმოებდნენ. ვიფიქრე, ალბათ რაიმე საგულისხმოს წააწყდნენ-მეთქი და იმწამშივე თავქუდმოგლეჯილი გავეშურე დანიშნულ ადგილისაკენ.

ტარიელი ანჩისხატის კარიბჭესთან დამიხვდა. მოუსვენრად ცმუკავდა და დამინახა თუ არა, მაშინვე ჩემსკენ გამოეშურა.

— შენი ამბავი კი ვიცოდი, მაშინვე წამოხვიდოდი.— მითხრა მან და მკლავში ხელი გამომდო—წამოდი ახლა, რა გაჩვენო.

— დაიცა, სადღა მიდიხარ.—შევედავე მე, როდესაც დავინახე, რომ მან ანჩისხატის ტაძრის ნაცვლად ზემო შუკებისაკენ გაუხვია და ძველი თბილისის ქუჩაბანდისაკენ წამიძღვა.

— წამოდი აქ, აქეთაა იგი, რაიც უნდა ვნახოთ.

ტარიელი თბილისში გაზრდილი და დავაჟკაცებული კაცი იყო, მაგრამ ლაპარაკში მაინც გურული კილო დაკრავდა.

ძველი თბილისის ქუჩაბანდები სულ დავლილი მაქვს და დაქექილი სახლების, რიყით მოგებული ვიწრო ქუჩების და ორიოდე ხის გარდა, საყურადღებო აქ არაფერი მინახავს. ნეტავ რა უნდა მაჩვენოს ისეთი, რომ გამაკვირვოს-მეთქი.

ბოლოს მან ერთ მოკლე ჩიხში მიმიყვანა. ეს ჩიხი ისე ვიწრო იყო, რომ იქ დაზურგული ვირიც კი ვერ გაივლიდა.

— შეხედე ამას!—მითხრა მან და მიმითითა ერთ ყრუ კედელზე, რომელსაც შუაში ძველებური, მუხის ალაყაფის კარი ჰქონდა,—ეს არის ძველებური ბანიანი სახლი. მგონი ერთადერთი, რომელიც შემორჩენია თბილისს. ჩემი ვარაუდით იგი დაახლოებით რვაასი წლის უნდა იყოს.

# მხატვრის შედევრი



აკაკი ბელიაშვილი

ნახ. ლ. ცუცქირიძისა

მე გაოცებით გადავხედე ტარიელს და მერე ეს ყრუ კედელი შევათვალიერე. იგი ძველებური ქართული აგურით იყო ნაგები და, რადგან არც სახურავი უჩანდა და არც ფანჯრები ჰქონდა, გალავნის ნაწილს წააგავდა.

— ძველად, ქალაქებში, ქუჩის მხარეს სახლებს ფანჯრებს არ უკეთებდნენ.—მითხრა ტარიელმა.—ეს აღმოსავლური ტრადიცია ჩვენშიც შემოიჭრა.

ჭიშკარი ვიღაც ხანშიშესულმა, მანდილით თავდახურულმა ქალმა გაგვიღო. მას ძველებური ქართული კაბა ეცვა, შავი ატლასისა, მოქარგული გულისპირით და ასეთივე მოქარგული სარტყელით.

— მობრძანდით შვილო, მობრძანდით.—უთხრა მან ტარიელს.

ორივენი ეზოში შევედით. სახლს, წინ, ღია ფარდუ-

ლი მიუყვებოდა. პატარა, ხელისგულისოდენა ეზო მთლიანად დაფარული იყო ტალავერით. ვაზის გადახლართულ ტოტებზე უხვად ეკიდა ყურძნის მტევნები. სუფთად დაგვილ ეზოში იდგა მაგიდა და ორი უბრალო მერხი.

ეზოში საამოდ გრილოდა.

— ეს როგორი აგარაკი გქონიათ ამ ჩვენს ცხელ თბილისში,—ვუთხარი დიასახლისს.—ასეთი სიგრილე მგონია ბაკურიანშიც კი არ არის.

— სიგრილე რაია,—აღარ დააცალა ტარიელმა დიასახლისს პასუხის გაცემა.—შენ, შიგნით, სახლში შედი და ნახე რა არის, მხოლოდ წინასწარ მითხარი, გული როგორი გაქვს?

— არ მესმის, რად მეკითხები?

— მეშინია აღტაცებამ და გაკვირვებამ ელდასავით არ იმოქმედოს. დიასახლისო, შეიძლება?—მიუბრუნდა ტარიელი ამ სასიამოვნო მანდილოსანს, რომელიც თავშეკავებული ღიმილით მიცქეროდა.

— მობრძანდით შვილო, მობრძანდით, თქვენზე უკეთესი ვინ ნახავს, რაც აქ აღმოვაჩინეთ.

სახლში შევედით და მართლა გაოცებული შევჩერდი.

ეს იყო ძველებური ქართული დარბაზი, განჯინებით, თაროებით, თაღიანი წალოებით. შუაში, ეტყობოდა, თავის დროზე კერია უნდა ყოფილიყო, რადგან დარბაზს გვირგვინიანი თაღი ადგა საკვამურ-სანათურით. ახლა, კერიის ნაცვლად, ფიცრის იატაკი ეგო მთელ დარბაზში და კუთხეში ბუხარი იყო მიშენებული. მაგრამ ყველაფერი ეს თავისთავად არც საკვირველი იყო, არც გასაოცარი: ასეთი ქართული დარბაზები ახლა მრავლად მოიპოება ახალციხის რაიონში, რომ ერთ გარემოებას არ მიექცია ჩემი ყურადღება: მთელი კედლები, განჯინები და თაროები სულ ხის იყო, და რაც განსაკუთრებით გეცემოდათ თვალში, მთლიანად, თავიდან ბოლომდე, უდიდესი გემოვნებით მოჩუქურთმებულ—მოხარატებული. მართლაც და ამის მსგავსს რამეს მთელ მსოფლიოში ვერ იხილავდით. ვისაც გინახავთ ფიტარეთის ან წრომის ტაძრების ჩუქურთმები, ან ხახულის ხატის მოჭედილობა ჩვენს მუზეუმში, ამის ნახვის შემდეგ იტყოდით, რომ ამ კედლების მომჩუქურთმებელი უფრო დიდი ხელოვანი ყოფილა.

— ნუთუ ეს დღემდე არ იცოდნენ ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეებმა?—ვიკითხე მე და ჯერ დიასახლისს შევხედე გაკვირვებით და მერე ტარიელს.

— არათუ ხელოვნებათმცოდნეებმა, დღემდე ამის შესახებ არაფერი იცოდნენ თვით სახლის პატრონებმა.—მითხრა ტარიელმა—ალბათ კიდევ დიდხანს არ ეცოდინებოდა ვინმეს, რომ შემთხვევით არ შედგომოდნენ ამ სახლის შეკეთებას. საქმე ისაა, რომ მთელი კედლები დაფარული იყო სქლად შელესილი გაჯით. აქ რომ შემოსულიყავი, გეგონებოდა უბრალო, თიხით ნაშენებ დარბაზში შევედით. ჰოდა, მოვიდნენ ოსტატები. დახეთქილ-დაბერილი ბათქაში მოანგრიეს და რას ხედავენ—გამოანათა ჩუქურთმებმა! მაშინვე გვაცნობეს, მოვედით და აი, რასაც ხედავ, ეს, მსოფლიოში ბადალი რომ არ ექნება, ასეთი უნიკალური ხელოვნების ნიმუში აღმოვაჩინეთ.

— კი, მაგრამ, ვინ, ან რად შელესა ეს კედლები, რად დაჭირდათ ამ მშვენების დაფარვა და დამალვა?—უნებურად აღმომხდა და მერე დიასახლისს ვკითხე:—ნუთუ თქვენ არაფერი გაგიგონიათ...

— არაფერი, შვილო, მე რომ გავთხოვდი ამ ორმოცდაათი წლის წინად, ეს სახლი ჩემს ქმარს ახლადნაყიდი ჰქონდა. აქ ერთი ფაიზოლა თუ ფეიზოლა სპარსელი იყო, შუაბაზარში დუქანი ჰქონოდა, ეს სახლიც იმისი ყოფილა. იმან თვითონ ააშენა, თუ ძველად ვინმესგან იყიდა, არ ვიცი, მეზობლებისაგან კი გამიგონია ამ სახლზე: საქართველოში როცა ჩვენი მეფე გვყოლია, იმას ერთი ოსტატი მხატვარი ყავდა თურმე. ასეთი ოსტატი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა. სახელად გოდერძი რქმევია. ამ სახლსაც გოდერძაანთსას უწოდებდნენ.

გოდერძაანთ სახლის გაგონებაზე უეცრად მომაგონდა ერთი ძველისძველი ხელნაწერი საბუთი. იქ რაღაც საინტერესო ამბავი უნდა ყოფილიყო მოთხრობილი, მაგრამ მაშინ მე ის ხეირიანად არც კი წამიკითხავს, უფრო ადრინდელი პერიოდის საბუთები მაინტერესებდა. მე მხოლოდ ზერელედ გადავავლე თვალი და წაკითხულიდან ეს გოდერძაანთ სახლი ჩამებჭრა მეხსიერებაში. მახსოვდა რომ იქ სწორედ შეღებვაზე იყო ლაპარაკი. დანარჩენზე არც დამიხედია, მარტო თარიღი შევამოწმე ბოლოში და როგორც კი დავრწმუნდი, არ გამომადგებოდა, განზე გადავდე. ახლა კი გულწრფელად ვნანობდი. რად არ წავიკითხე.

ფიქრებმა ისე გამიტაცა, რომ სანამ ტარიელმა ხელით არ შემანჯღრია, გონს ვერ მოვედი.

— რა მოგივიდა, ასე რად დაფიქრდი?—მკითხა მან.

— არაფერი,—ვუპასუხე მე—არაფერი. მაგრამ ახლავე მივრბივარ, ცენტრარქივის ხელნაწერთა ფონდებში ერთი ძველი საბუთი მეგულება. იქ ლაპარაკი უნდა იყოს გოდერძის სახლის შეღებვაზე...

— რას ამბობ, მართლა?—ისეთი დაფეთებით წამოიძახა ტარიელმა. მეგონა გაგიჟდა-მეთქი—წამოდი ახლავე ვნახოთ რაია იგი საბუთი.

— წავიდეთ.

* * *

კარგა ხანს მოგვიხდა ძებნა იმ საბუთისა. მე აღარც ნომერი მახსოვდა იმ ძველი წერილისა და აღარც წყება, თუ რომელ სიებში გვეძებნა. ხან ერთ დავთარს ვეცი, ხან მეორეს, ხან აღმა ვიკითხეთ, ხან დაღმა. მაგრამ ჩემს ჯიბრზე თითქოს ის ძველი წერილი ან ვინმეს განგებ გადაემალოს, ან სულაც მოეპაროს, ვერაფრით ვერ მივაგენი. მე და ტარიელი სულ ოფლში ვიწურებოდით, თვალეპი მიჭრიალებდა ამ ძველი, ზოგი მართლა კარ-

გად ნაწერი, მაგრამ უფრო მეტად ბატისფეხურად ნაჯღაბნი წერილების და სიგელების კითხვით.

ბოლოს ისე გავსავათდით, რომ უიმედოთ ჩავიქნიეთ ხელი, ძებნა შევწყვიტეთ და ქუჩაში გამოვედით.

— ნამდვილად გახსოვს, რომ აქ, ცენტრარქივის ხელნაწერებშია ის სიგელი? — მკითხა ტარიელმა, როდესაც ერთმანეთს ვემშვიდობებოდით და მე ჩემი ქუჩისაკენ ვაპირებდი ახვევას.

— ნამდვილად.

— აბა, მთელი არქივის თავიდან ბოლომდე წაკითხვა რომ დამჭირდეს, მაინც მოვძებნი იმ წერილს. — მითხრა დაჯერებით ტარიელმა და თავის სახლისაკენ გაეშურა.

გუნებაში გამეცინა, მაშინ ჩვენ ტარიელს ალბათ ერთი სამასი წელი უნდა ეცოცხლა. არა, იქნება მოვიგონო როგორმე, რომელ დავთარში წავაწყდი იმ წერილს.

მთელი ღამე ვბორგავდი და სულ მელანდებოდა ის ხელნაწერი, ხოლო შინაარსი ათასნაირი სახესხვაობით წარმომიდგებოდა ხოლმე.

დაღლილ-დაქანცულს ძლივს დამეძინა და სიზმარშიაც კი იმ ქაღალდს დავეძებდი. და აი, სწორედ სიზმარში ის ქაღალდი ვნახე, დიახ ვნახე მუზეუმში. დავხედე, ზედ აწერია: ნომერი შვიდიათას ექვსას სამოცდახუთი.

აღელვებისაგან მაშინვე გამეღვიძა.

ვეცი ფანქარს და წამსვე ჩავიწერე. იქნება მართალი აღმოჩნდეს. შესაძლო იყო, ოდესღაც იმ ქაღალდს რომ დავხედე, მართლა ეს ნომერი ამოვიკითხე, იგი ჩემს მეხსიერებაში სადღაც ქვეცნობიერად აღიბეჭდა და ახლა სწორედ სიზმარმა გამახსენა მეთქი.

ჩავიწერე და მოუთმენლად დავუწყე ლოდინი გათენებას.

სამსახური ჯერ კიდევ არც კი იყო დაწყებული, როდესაც ცენტრარქივის კარს მივადექ. მალე დაიწყეს მოსვლა თანამშრომლებმა და მე კვლავ ვეცი ჩვენი ძველი ხელნაწერების ფონდებს.

გადმომიღეს საბუთი ნომერი შვიდიათას ექვსას სამოცდახუთი, მაგრამ მას არაფერი საერთო არ ჰქონდა მასთან, რასაც მე ვეძებდი.

მოდი ახლა და სიზმარს დაუჯერე.

გულდაწყვეტილმა კიდევ ერთხელ ვცადე გადამევლო თვალი ზოგიერთი საბუთებისათვის და გადავჩხრიკე რამდენიმე დასტა დავთრებისა.

როდესაც სრულიად იმედდაკარგული და გულდაწყვეტილი ვაპირებდი თავი მიმენებებია ძებნისათვის, მოულოდნელად წავაწყდი იმ საბუთს, რომელსაც ვეძებდი.

ვინაიდან ვფიქრობ, რომ მკითხველი ჩემზე ნაკლებად არ არის დაინტერესებული იმის შინაარსით, იგი თავიდან ბოლომდე გადმოვიწერე.

ეტყობა, ეს ბარათი, აღამაჰმადხანის თბილისში შემოსევის წინადღეებში უნდა იყოს მიწერილი ერეკლე მეფის მეუღლესთან — დედოფალ დარეჯანთან. როგორც ცნობილია, ბრძოლის წინ ერეკლემ თავისი ოჯახი გახიზნა.

აი ის წერილიც:

„ქ. უმაღლეს და უმოწყალეს სრულიად საქართველოს დედოფალს დარეჯანს, მისი ერთგული მსახური და ფეხთა-მტვერი იასე მრავალ მოკითხვას მოგახსენებთ. მამადხანის ამბავს თუ იკითხავთ კოდას მდგარა, დღე დღეზე ველით გამოლაშქრებას. ბატონი ჩვენი ერეკლე მანდედან ჯარს ელის. ქალაქში დიდი შფოთია. ვისაც შეუძლია, ყველა იხიზნება. ამბავი მოგვივიდა, მამადხანს უბრძანებია, ერეკლე დიდებული სარდლის ნადირ შაჰის გაზრდილია და მეშინია სადმე მახეში არ გამაბასო. იქნებ ღმერთმა ინებოს და გაბრუნდეს. თქვენ რაც მიბრძანეთ საბუთები და ცხრა ზანდუკი ჭველა გოდერძისეულ სახლში ავზიდე და საიდუმლო გვირაბში დავმალე. მერე ვიფიქრე აქ იმ კარს ვერავინ მიაგნებს, მაგრამ, ერთიც ვნახოთ, ყაენმა ქალაქი აიღოს, ეს სახლი ნახონ, ან ცეცხლი წაუკიდონ, ან ამისი კედლები მოეწონათ და დაშალონ, მაშინ ხომ იმ გვირაბსაც მიაგნებენ მეთქი. ავდექი და კედლები სულ გაჯით გავალესვინე. ახლა ეს ერთ ღარიბულ სახლსა გავს და მდგმურად ბატონის ჯილავდარი თათარი მამედა დავაყენე თავისი წვრილშვილითა, იქნება თუ მტერი მოვიდა, თათრის ოჯახს ნახვენ და არ აიკლონ. ასე რომ შენახულზე ხათრიჯამი ბრძანდებოდეთ."

გადმოვიწერე ეს ბარათი და მაშინვე ტარიელის საძებნად გავემართე. ვიცოდი, რომ ის ერეკლეს მოედნის ბოლოს ძველი წყალსადენის გათხრებს ხელმძღვანელობდა.

მართლაც იქ დამხვდა. თხრილში ჩაჩოქილი, ძველი თიხის მილს ფრთხილად იღებდა ბუდიდან.

— ტარიელ, — დავსძახე ზემოდან და გადაწერილი ფურცელი დავანახე.

— ო, ოთარ, შენა ხარ? ნახე? — მკითხა მან და მილს ხელი უშვა.

— შენ მაშინ მეკითხებოდი, გული როგორი გაქვსო.

— მერე? — ელვის სისწრაფით წამოიჭრა ზეზე ტარიელი.

— მართალი მითხარი, შენს გვარში ხომ არავინ მომკვდარა გულის გახეთქით?

— ისე ვატყობ, მე ვიქნები პირველი.

— აბა, განაგრძე მუშაობა. — ვუთხარი და ქაღალდი ისევ ჯიბეში შევინახე.

ვეფხვივით ისკუპა ტარიელმა თხრილიდან და ყველაზე გამოცდილი განგსტერიც კი ვერ მოახერხებდა ჩემი ჯიბიდან იმ ქაღალდის ისე სწრაფად ამოცლას, როგორც იმან მოახერხა.

გაშალა და წაიკითხა. თვალებს არ დაუჯერა, კიდევ წაიკითხა. მერე შემომხედა და მითხრა:

— მასხრად მიგდებ?

— რადა?

— ეს შენი შეთხზულია და მატყუებ...

გამეცინა.

ამან უფრო გადარია ტარიელი. ისევ დახედა ქაღალდს და შემომხედა.

— მართალს ამბობ?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— მართლა ნახე ეს საბუთი?

— გეუბნები მართლა,

მაჯაში ხელი წამავლო და თავის მანქანისკენ წამათრია.

— ოთარ, ახლავე წამო და ამის დედანი მაჩვენე. იცოდე, თუ მომატყუე...—მითხრა, მანქანაში მუჯლუგუნებით შემაგდო, თვითონ საჭეს მიუჯდა და ისე გააქანა თავისი ბედაური, შემეშინდა უბედურება არ დაატრიალოს მეთქი.

დედნის წაკითხვა, მეგონა, დაამშვიდებდა ტარიელს. ის კი უფრო გადაირია. აწრიალდა, ერთ ადგილზე ვეღარ გავაჩერე, ხან აქეთ ეცა, ხან იქით, მერე ქუჩაში გამიტაცა და მითხრა:

— ამაზე ჯერჯერობით კრინტი არ დასძრა. არც იმ სახლის პატრონთან წამოგცდეს რამე. ჩვენ წავიდეთ და ვითომ ჩუქურთმების და ხარატულების შესწავლას ვაწარმოებთ, გულდასმით დავათვალიეროთ კედლები და კონანდოილის მოთხრობის გმირებათ, შერლოკ ჰოლმსებათ ვიქცეთ.

— არა, დაიცა, აგრე არ ივარგებს. ჯერ ერთი, ეგ სახლი უკვე ისტორიული განძია და დღედღეზე სახელმწიფო მუზეუმს უნდა გადაეცეს. ამისთვის საჭიროა ის მობინადრენი ახალ ბინაში გადავიყვანოთ. შემდეგ კი ჩვეულებრივად, მთელი ჩვენი მეცნიერული და ტექნიკური მეთოდების მოშველებით, ყველაფერი წესიერად შევამოწმოთ და თუ მართლა აღმოვაჩენთ საიდუმლო საწყობს, სადაც გადანახული იქნება ძველებური ნივთები და, რაც ყველაზე საინტერესოა, ძველი ხელნაწერები, მაშინ ხომ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაყეფს.

— ბიჭო, მაგ ოჯახს ალბათ ერთ თვეზე ადრე ვერ გადავიყვანთ ახალ ბინაში და მთელი ერთი თვე არ გინდა მაძინო? ხომ აღმომხდა სული იმის შიშით, რომ ვინმე ბრიყვმა ბოროტგანმზრახველმა არ გაიგოს საიდანმე ეს საიდუმლოება და არ გაანიავოს ეს ისტორიული განძეულობა. შენ ხომ იცი, რომ ეგვიპტის პირამიდები ასეთმა ბოროტმოქმედებმა განძარცვეს, გაანადგურეს და ისეთი ხელოვნების შედევრები მოსპეს, რომელთა ბადალი შეიძლება მსოფლიოში არ მოიპოვებოდა. ჩვენშიაც, აგერ, კლდეეთში, ძველ სამარხს მიაგნეს და სანამ ჩვენი ექსპედიცია მივიდოდა, ბოროტმოქმედებს აეთხარათ და თითქმის მთლიანად დაეტაცებიათ იქ ნაპოვნი უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ნივთები. შენ ხომ არ გგონია, რომ ყველას ჩვენსავით ესმის ისტორიული ნივთის ფასი და მნიშვნელობა. ბრიყვი ადამიანი როდესაც ასეთ ადგილს წააწყდება, იგი პირველ რიგში ფიქრობს, რა ვიპოვო ისეთი, რომ ჩავიჯიბო და გავი-



ტაცოო. ამიტომ იგი ბრჭყვიალა ნივთების ძებნის დროს ხშირად ანადგურებს და ამსხვრევს ისეთ ისტორიული მნიშვნელობის განძს, რომელიც ასჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე მისი წონის ოქრო. იმათ არ იციან, რომ ზოგი, სულ უბრალო თიხის ჭურჭელი, ან ძველებური წარწერებიანი, ან იეროგლიფებიანი ფილა, ან აგური, უფრო დიდი განძია ეროვნული კულტურისათვის, ვიდრე ოქროს ზოდი.

— ასეა თუ ისე, ჯერ ყოველივე ეს მთავრობას ვაცნობოთ და მერე, როგორც გვიბრძანებენ ისე მოვიქცეთ.—ვუთხარი მე.

ტარიელი დამეთანხმა.

* * *

ამ ამბის შემდეგ მართლაც სრული ერთი თვე გავიდა, სანამ მოვაგვარებდით იმ ოჯახის ახალ ბინაში შესახლებას და ტარიელიც დამშვიდებით შეუდგებოდა თავის არქეოლოგებთან ერთად ამ შესანიშნავი შენობის ძირფესვიანათ შესწავლას.

ჩვენ დამშვიდებით დავათვალიერეთ შენობის ყოველი კუნჭული, კედლების ყოველი წერტილი. როდესაც შინაგან სნეულებათა ექიმები ავადმყოფს სინჯავენ, ისინი მას გულმკერდზე და ზურგში პატარა ჩაქუჩს ან თითს უკაკუნებენ და ყურს უგდებენ, რომ მიაგნონ დაავადების ადგილს, რადგან იქ, კაკუნის ხმა მოყრუვდება ხოლმე. ჩვენც ასე ვაკაკუნებდით კედლებზე, რომ დაახლოებით მაინც მივვეგნო იმ ადგილისათვის, სადაც უნდა ყოფილიყო გვირაბში შესასვლელი საიდუმლო კარი.

მაგრამ ვერც კაკუნით, ვერც თვალიერებით, ვერც ხელით სიმაგრის მოსინჯვით ფერაფერს ვერ მივაკვლიეთ.

— რა კარგია კედლების გასინჯვა, რომ შეიძლებოდეს რენტგენით. – იხუმრა ტარიელმა.

— სადმე გასაღების ჭურჭუტანისთვის მაინც მიგვეგნო.—წამოვიძახე გულდაწყვეტილმა.

— მეტი გზა არ არის უნდა დავშალოთ ეს ხის კედლები.—სთქვა ტარიელმა.—არ მინდოდა ხელი მეხლო ასეთი ძვირფასი ჩუქურთმებისათვის, მეშინია სადმე არ დავაზიანო, მაგრამ რას იზამს!

— არა, ჯერ დაიცა.—შევედავე მე—როგორ ვერ უნდა მივაგნოთ საიდუმლო გასაღებს. ნუთუ ასეთი უნიჭოები უნდა ვიყოთ.

— გამოდის, რომ ჩვენი წინაპრები ჩვენზე ნიჭიერები ყოფილან, თუკი შესძლეს ასე დაესაიდუმლოებიათ ის კარი, რომ მისი მიგნება ყოვლად შეუძლებელია.



— შეუძლებელი არაფერია. უნდა მივაგნოთ.

ისევ შევუდექით ძებნას. გულდასმით დავუწყეთ თვალიერება ჩუქურთმების ხვეულებს, რადგან ჩემის გუმანით, სადღაც მათ შორის უნდა ყოფილიყო ჩამალული კარის საიდუმლო გასაღები. ერთ ადგილას ჩუქურთმის ხვეულში, კვანძი იყო გამოყვანილი და ამ კვანძის მრგვალ ჭუჭრუტანაში გაჯი ჩარჩენილიყო. მე მას ლურ-

სმნით დავუწყე ამოჩიჩქვნა და შევატყვე, რომ იგი საკმაოდ ღრმად მიდიოდა. ბოლოს ლურსმანი სულ ჩაიმალა ხვრელში.

— ბიჭო, მგონი მივაგენი. — წამოვიძახე მე.

ყველანი მოცვივდნენ და ხვრელს დააცქერდნენ.

— ძველად ურდულით კეტავდნენ კარს. — ვუთხარი მათ — აი, ასეთ ხვრელში შეუყრიდნენ გრძელ რკინას, იმ რკინას ბოლო სახსარივით თავისით ეკეცება, იგი მოედება ურდულის კბილს, მოაბრუნებ გასაღებივით ამ რკინას და გასწევ ურდულს. განა არ გინახავთ ასეთი ურდულები ჩვენს წისქვილებში?

— როგორ არა, — თითქმის ერთად წამოიძახა ყველამ.

— ახლავე უნდა დავამზადოთ საჭირო გასაღებები. — აფუსფუსდა ტარიელი. — მხოლოდ რა სიგრძისა უნდა იყოს სახსარი, ისაა საქმე.

— დავამზადოთ რამდენიმე, ან ერთი მოერგება, ან მეორე, — ვურჩიე მე.

მაშინვე გავეშურეთ საზეინკლო სახელოსნოსკენ და ტარიელმა ორმოცდაათამდე ასეთი გასაღები შეუკვეთა, სულ სხვადასხვა ზომის.

— რად გინდა ამდენი? — გაოცებით ვკითხე მე.

— შენ იცი ურდულის თავისებურება, თუ გასაღები ზუსტად არ მოერგო, ესე იგი თუ გასაღების სახსარში მოკეცვის ადგილი ზუსტად არ დაემთხვა ურდულის სიმაღლეს, ისე კარს ვერ გააღებ.

მეორე დღეს ტარიელს უკვე ხელში ეჭირა ამ გასაღებების მთელი აკიდო და ისე გავემართეთ ჩვენი ძიების ადგილისაკენ. საკმაოდ აღელვებულები შევუდექით საქმეს და დავიწყეთ ჩვენი გასაღებებით საიდუმლო კარის გაღება. ყველაზე პატარა გასაღებიდან დავიწყეთ. არ გამოდგა. ფუჭად ბრუნავდა ხვრელში. პირველს მეორე მოყვა, მეორეს მესამე და მხოლოდ მეოცდაათემ თითქო მოსდო კბილი რაღაცას. მოვაბრუნეთ. არაფერი. არც ურდულმა გაიწია, თუ კი გასაღები შართლა ურდულის კბილს იყო მოდებული, არც სხვა რამ მოძრაობა შევნიშნეთ.

— თუ გასაღების ენა ჭდეში არ ჩაჯდა, ისე არაფერი არ გამოვა, ამაშია ურდულის მთელი უპირატესობა მთელი მსოფლიოს ბოქლომების წინაშე. — მითხრა ტარიელმა.

ეს უიმისოდაც კარგად ვიცოდი.

ახლა მომდევნო გასაღები ვცადეთ. არც ის მოუდგა.

კიდევ შევცვალეთ გასაღები. ტარიელმა მოატრიალა და მოულოდნელად გავიგონეთ ხმა: ძინგ!

— არის, — სთქვა ტარიელმა, კიდევ მოაბრუნა გასაღები, კიდევ გავიგონეთ ისეთივე ხმაური. მოჩუქურთმებული სვეტი მოულოდნელად შებრუნდა და ჩვენ დავინახეთ კარის ჩარჩო, რომელზედაც ოთხი ძველებური, მთლად ჟანგით დაფარული ბოქლომი ეკიდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მე არასოდეს მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც აი უკვე ოთხი ათეული წელი წინ მივისწრაფვი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ქვეყნის ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა გულითადობამ, სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ის ბიძგი, რომ ყოფილი მაწანწალა, ლიტერატორი გავმხდარიყავი.

მ. გორკი 1931 წ.

«ამ ქალაქის ნამდვილი სახელწოდება ტფილისია (Gphilissi) ანუ ტფილისის ქალაქი (Gphiis-Kalaki;) ესე იგი «თბილი ქალაქი». ეს სახელწოდება მიიღო მან მასში გამომდინარე მშვენიერი მინერალური წყაროებისაგან. საინტერესოა, რომ ბევრი ადგილი, სადაც ასეთივე წყაროებია, ამგვარ სახელწოდებას ატარებს. ძველად ნუმიდიაში არსებობდა ქალაქი ტიბილისი, განთქმული თავისი მინერალური წყლებით. უნებლიეთ მაგონდება ტეპლიცი ბოჰემიაში, რომლის სახელიც წარმოსდგება სლავური სიტყვის «Тепло«-საგან, ხოლო ეს სიტყვა შეიცავს ისეთსავე ძირს, როგორსაც ლათინური »Gepidus“-ი.. ...იქვე ბაზრებშივეა, როგორც საერთოდ აზიაში სჩვევიათ, სხვადასხვანაირი სახელოსნო; ერთი ქუჩა უჭირავთ მხოლოდ მეწუღეებს, მეორე — მექუდეებს, მჭედლებს, ზეინკლებს, ოქრომჭედლები, აბრეშუმის მქსოველები, მესაჭურვლენი, — ყველანი აქ ხალხის თვალწინ მუშაობენ, უცხოელისთვის ეს ისეთი საინტერესო სანახაობაა, რომ ბაზარში გასეირნება ყველაზე სასიამოვნო გასართობია თბილისში».

მე-19 საუკუნის აკადემიკოსი გენრიხ-იული კლაპროტი

«თბილისში მეტად წესიერი ხალხია; ყველაფერზე მომხიბლავი აქ აბანოებია! — სახელდახელოდ გადავიღე ყველა საყურადღებო ადგილი, რაც კი ვნახე.».

მ. ლერმონტოვი

«ქალაქი თბილისი სამ, ერთიმეორისაგან ფრიად განცალკევებულ ნაწილს შეიცავს: ჩრდილოეთის გარეუბანი ნამდვილი ქალაქი ანუ კალა, გარეუბნიდან სამხრეთით მდებარეობს, სწორკუთხედის მსგავსად, რომლის დიაგონალი მჭიდროდ ეკვრის მტკვარს, და ავლაბრის გარეუბანი».

ა. გრიბოედოვი

«თუ სპარსეთში მოვკვდე, ნუ დასტოვებთ იქ ჩემს ძვლებს, თბილისში მამადავითის მონასტერში დამკრძალეთ».

ა. გრიბოედოვი

«თბილისი ძალიან ცივილიზებული ქალაქია. იგი ძალიან ბაძავს პეტერბურგს და ეს მას კარგადაც გამოუდის. საზოგადოება რჩეული და საკმაოდ მრავალრიცხოვანია. არსებობს რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლებითაც მე ვსარგებლობ».

ლ. ტოლსტოი

«თბილისში გაზაფხულია, მთელი თავისი მომხიბვლელობით. ბუნების სილამაზე წარმოადგენს ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე აღმგზნებელ სიტკბოებას. საუცხოო დღეები ერთი-მეორეს ენაცვლებიან. სიკამკამე და სიკაშკაშე თითქოს უფრო ამაღლებს ცის კამარას. მცენარეული იკვირტება და იფურჩქნება. ყვავის ნუში. რა არაჩვეულებრივი სილამაზეა აქაური მზის ამოსვლა; ცის უამრავი მგალობელი ზეიმობს სინათლის დაბრუნებას. ჰაერი გაჟღენთილია ათასგვარი სურნელებით, რომელსაც აფრქვევს მცენარეთა სამყარო. ადამიანის თვალი ვერა ძღება მისი მრავალფეროვნობით და ნორჩი სიმწვანით».

ფრედერიკა ფონ ფრეიგანგი





# ძველი თბილისის სურათები











ეს სურათი ორმოცდაათოდე-მეტი წლის წინათაა გადაღებული [illegible] „დახურულ ბაზარში"—

ძველი თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ხელოსნობას მისდევდა. ამ ფოტოზე უნაგირებისა და ცხენის სხვა კაზმულობათა ერი ოსტატია აღბეჭდილი.





უმეტესად დუხჭირი, მაგრამ ხალისით აღსავსე ცხოვრება ძველ თბილისს განუმეორებელ ელფერს აძლევდა. რას არ ნახავდა ადამიანი თბილისში: აგერ, ხელოსან ამქართა რიგები, მათ გვერდით მეწვრიმალეთა დუქნები და ცოტა მოშორებით, მტკვართან, «ყაბახი». აქ იმართებოდა შეჯიბრებები ცხენოსნობაში, აქვე ერკინებოდნენ ერთმანეთს თბილისელი მოჭიდავეები. მეტეხის ხიდის მახლობლად «სალაყბო» იყო გამართული. აქ იყრიდნენ ხოლმე თავს თბილისის მოქალაქეები და მსჯელობდნენ, კამათობდნენ საჭირბოროტო საკითხებზე.

მძიმედ მოაბიჯებდა მტკვრიდან მომავალი «მეთულუხჩე» რომელიც თბილისელებს წყლით ამარაგებდა. გაისმოდა მენახშირის ხმა და მორახრახებდა ცხენშებმული ე. წ. «კონკა». მაშინ იგი თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო ტრანსპორტად ითვლებოდა. ხშირად შეგხვდებოდათ მოჩარდახული ურემიც: დღეობაზე მიმავალ გლეხს ურემზე მზის საჩრდილობლად ფარდაგი ან ხალიჩა გადაუფარებია და შიგ მთელი თავისი ოჯახი მოუთავსებია.

აგერ, «დახურული ბაზარი».—აქეთ მობრძანდით, აქეთ—ხელგაშლით ეპატიჟება მუშტარს ვაჭარი. აქებს თავის ხახვსა და კარტოფილს, თევზსა და ძეხვს. ნაირნაირი საქონელი დაუწყვია დახლზე, ჩამოუკიდია ხარიხაზე. ხმაურობს ჭრელი ბაზარი...



ფოტოგრაფ რ. აკოფოვის არქივიდან

საღამო ხანს თბილისის მშრომელი მოსახლეობა ბანითა და აივნით დამშვენებულ ხარფუხის, ისანის, რიყის და თათრის მოედნის ვიწრო ქუჩაბანდებში გამოეფინებოდა. მდიდრები კი ქალაქის ევროპულ ნაწილში—სოლოლაკში ეძლეოდნენ განცხრომას,

განსაკუთრებით უქმე დღეებში უყვარდათ გართობა თბილისის ყარაჩოღელებს. აი, თუნდაც ქალაქგარეთ მოწყობილი «ყოჩების ბრძოლა». იგი უაღრესად პოპულარული იყო თბილისელ ხელოსნებსა და ვაჭრებში. ზრდიდნენ, ელოლიავებოდნენ და სწვრთნიდნენ ყოჩებს თავიანთი პატრონები. ყველას უნდოდა თავის ყოჩს მოეგო ბრძოლა, დაეჯაბნა მოწინააღმდეგის ყოჩი. მაყურებელი მრავლად იყო, მრავალი იყო სანიძლაოც.

თბილისში მცხოვრები გერმანელი მხატვრის—შმერლინგის სურათები სწორედ ამ პერიოდის თბილისელთა ყოფა-ცხოვრებაზე მოგვითხრობენ.

თ. ჩიქოვანი









ფოტო ო. თურქიასი და გ. შენგელიასი

# თბილისის პატარა მოქალაქენი



ქალაქის ბაღებისა და პარკების გამწვანებაში თავიანთი წვლილი პიონერებსაც შეაქვთ.



შეჯიბრებაზე მიიჩქარიან...



ლაპარაკობს დიქტორი.

არსად არაა ბავშვობა ისე ბედნიერი, როგორც ჩვენს სამშობლოში. უფროსებთან ერთად ამაყობთ თქვენ, რომ საბჭოთა მოქალაქენი ხართ. რომელ ქალაქში, რომელ სოფელში უნდა შეიარონ, რომ თქვენი ბედნიერი ხმა არ ისმოდეს. ბავშვთა კერები, სკოლები, პიონერთა სასახლეები, ბანაკები თუ მოედნები სავსეა თქვენით. თქვენ სწავლობთ, საქმიანობთ, ისვენებთ, ერთობით, და ყველგან გრძნობთ იმ დიდ მზრუნველობას, რომელსაც პარტია და ხელისუფლება იჩენს თქვენს მიმართ. სწორედ ასეთი მზრუნველობით გამთბარი ნორჩი თბილისელი მოქალაქენი მოვათავსეთ ამ ფოტო-მონტაჟში; მათ უყვართ თბილისი, სწავლობენ მის წარსულს, ამაყობენ მისი აწმყოთი და უხარიათ, რომ თბილისის მომავალს სწორედ მათ ჩააბარებენ.



შრომითაა გართული...



ეს პიონერები ამ ზაფხულს საქალაქო ბანაკში დარჩნენ...



ამ ბიჭუნებს თბილისის დამცველ გმირებად წარმოუდგენიათ თავი.



ჩუმად ნანული! არ გააღვიძო ბაია.

7727

ეროვნული ბიბლიოთეკა



საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს.

ფოტორეპროდუქცია მხატვარ ალ. გოგოლაშვილის სურათიდან.

# რევოლუციის გარიჟრაჟზე

ის პერიოდი, როცა ჩვენს სახელოვან დედაქალაქს რევოლუციის ქარიშხალი მოედო, დაკავშირებულია ჩვენში მუშათა კლასის წარმოშობასთან.

მუშათა კლასი, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეკონომიურად და პოლიტიკურად ყველაზე დაჩაგრული კლასი, ის ძალაა, რომელსაც ისტორიამ დააკისრა მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლების ხელმძღვანელობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა-შევიწროებაზე დამყარებული წყობილების ძირფესვიანი მოსპობა, ახალი, კომუნისტური საზოგადოების აშენება.

მუშათა კლასმა განვითარების გრძელი გზა განვლო. იყო დრო, როცა მუშებს არ ჰქონდათ შეგნებული თავიანთი კლასობრივი ინტერესები, არ იცოდნენ, ვინ იყო მათი მტერი, კაპიტალისტები თუ მისი მფარველი მთავრობა.

მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლების ბოლოს გახდნენ თბილისის მუშები, მარქსისტული წრეებისა და ორგანიზაციების დახმარებით, კაპიტალისტებისა და მემამულური წყობილების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში და ამიერკავკასიაში პირველი მარქსისტული წრეები და ორგანიზაციები თბილისში, მის საწარმოებში (უმთავრესად რკინიგზის სახელოსნოებსა და დეპოში) შეიქმნა. საქართველოში პირველად აქ შეიკრა ინტერნაციონალური კავშირი ქართველ, რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ და მრავალი სხვა ეროვნების მუშებს შორის და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გავლენით პირველად აქ გაუმართეს მუშებმა ბრძოლა კაპიტალისტებსა და მეფის მთავრობას.

თბილისის მუშათა რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ისეთი სახელმოხვეჭილი მოღვაწეები როგორიც იყვნენ ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ვ. კურნატოვსკი, მ. გორკი, ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე და სხვები.

თბილისის მუშებს შორის აღიზარდნენ ცნობილი მუშა-რევოლუციონერები: მიხო ბოჭორიძე, ზაქრო ჩოდრიშვილი, თევდორე მაიოროვი, სერგო ალილუევი, თევდორე აფანასიევი, ვანო სტურუა, გიორგი თელია და სხვები; მათ დიდი როლი შეასრულეს რევოლუციურ მოძრაობაში.

დიდი მარქსისტი-ლენინელი ი. სტალინი, თბილისის მუშებს თავის პირველ მასწავლებლად თვლიდა. „მაგონდება 1898 წელი,—ამბობდა სტალინი 1926 წელს,—როცა პირველად ჩამიბარე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე... აქ, ამ ამხანაგების წრეში გავხდი მაშინ რევოლუციის შეგირდი... ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ“.

მას შემდეგ, რაც მუშათა მოძრაობას მარქსისტული ორგანიზაციები ჩაუდგნენ სათავეში, მუშების ბრძოლას კაპიტალისტთა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ ორგანიზებული ხასიათი მიეცა, მუშებს შორის დამყარდა კავშირი, მეგობრული მხარდაჭერა.

მუშათა გათვითცნობიერების საქმეში დიდი როლი ითამაშა სამაისო დღესასწაულებმა.

მაისობა თბილისის მუშებმა პირველად 1898 წელს მოაწყეს. მისი ჩატარების გეგმა წინასწარ შეიმუშავა ხელმძღვანელმა პარტიულმა კომიტეტმა და იგი საკმაოდ წარმატებითაც ჩატარდა მაშინ გარეუბნად წოდებულ ღრმა-ღელეში.

ამის შემდეგ საპირველმაისო დემონსტრაციები ყოველწლიურად იმართებოდა.

1899 წლის მაისობას, რომელიც აგრეთვე ქალაქგარეთ გაიმართა, წინ უძღოდა ჩვენამდე მოღწეული პირველი ნაბეჭდი პროკლამაციის გამოშვება. პროკლამაციაში დაწვრილებით იყო გაშუქებული საპირველმაისო დღესასწაულის ისტორია, პროლეტარიატის ბრძოლის კეთილშობილური მიზნები და გამარჯვების მოპოვებისათვის მუშათა ერთიანობის მნიშვნელობა

მესამე მაისობა 1900 წელს, დღევანდელი „თბილისის ზღვის“ ტერიტორიაზე ჩატარდა. მაშინ ეს ადგილი „მლაშე ტბების“ რაიონად იწოდებოდა. ამ მაისობის მონაწილეები მოგვითხრობენ, რომ იქ მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ახალგაზრდა ი. ბ. ჯუღაშვილი (სტალინი), რომელმაც მუშებს მოუწოდა მტკიცე რიგებად დარაზმულიყვნენ მეფის მთავრობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მორიგ, მეოთხე მაისობამდე თბილისის მუშათა მოძრაობა კიდევ უფრო გამდიდრდა გამოცდილებით. 1900 წლის აგვისტოში ჩატარდა მანამდე უდიდესი გაფიცვა, რომელიც რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშებმა წამოიწყეს, რომელთა სოლიდარობის ნიშნად შეუერთდნენ იარალოვის თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის, ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის და სხვა საწარმოთა მუშებიც. ბოლოს გაფიცვას შეუერთდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მემანქანეებიც და ამრიგად იგი გახდა სხვადასხვა საწარმოთა მუშების პირველი შეთანხმებული გამოსვლა. ამ გაფიცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მ. ი. კალინინმა, რომელიც რევოლუციური მოღვაწეობის გამო მეფის მთავრობამ პეტერბურგიდან ამიერკავკასიაში გადმოასახლა. „მე მაშინვე ვიგრძენი, რომ მშობლიურ წრეში მოვხვდი“, იგონებდა მრავალი წლის შემდეგ მ. კალინინი, რომელმაც თბილისელებს პეტერბურგის მუშათა ბრძოლის გამოცდილება გააცნო.

თბილისელმა მუშებმა მოითხოვეს: ღამით მუშაობის აკრძალვა, საღამოს სამუშაოებისათვის ცვლების დაწესება, ჯარიმების გაუქმება, ხელფასის გადიდება, სამუშაო დღის შემცირება (სამუშაო დღე 12—14 საათამდე აღწევდა), სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება და ასე შემდეგ. ეს უაღრესად ადამიანური მოთხოვნები ადმინისტრაციამ არა თუ დააკმაყოფილა, არამედ სასტიკად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და მოინდომა „გათავხედებული“ მუშების სამაგალითოდ დასჯა; მეფის მთავრობის პოლიცია ღამით შეიპარა მუშათა საცხოვრებელ უბანში — დიდუბეში და პირდაპირ ლოგინიდან წამოაყენა და დააპატიმრა 63 მუშა.

მუშებმა, რომელთა ბრძოლას პარტიული ორგანიზაცია წარმართავდა, ამ თავხედობას შეუპოვარი წინააღმდეგობით უპასუხეს. მათ თავიანთ მოთხოვნებში შეიტანეს დაპატიმრებული მუშების გათავისუფლებაც და წინადადებით მიმართეს ადმინისტრაციას, რომ თუ არ დააკმაყოფილებდნენ მათ მოთხოვნებს, ისინი შეწყვეტდნენ სამსახურს ბათუმიდან ბაქომდე. მუშების ამ მოთხოვნამ კიდევ უფრო გააბოროტა ადმინისტრაცია, მან დაიხმარა სამხედრო ნაწილები და კიდევ 300 მუშა დააპატიმრა. ამანაც ვერ გასტეხა თბილისელი მუშების წინააღმდეგობა. იმავე დღეს (7 აგვისტოს) 2 ათასი მუშა ერთსულოვნად დარაზმული გამოცხადდა იმ საპოლიციო უბანში, სადაც მუშები იყვნენ დაპატიმრებულნი და მოითხოვეს თავიანთი ამხანაგების გათავისუფლება. ეს იყო თბილისის მუშათა პირველი დემონსტრაცია, რომელსაც მეორე დღეს მხარი დაუჭირა მუშების ოჯახის წევრთა — ცოლების, დედების, შვილების არანაკლებმა დიდმა დემონსტრაციამ, რომელიც მიხეილისა და



ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა
(მაკეტის ჭრილი)

„აგერ ტფილისიც!
ყრმასაც და ბერსაც
ქალსა მახინჯსაც და
მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა,
გლეხსა,
მე უხილავი ყურსა
ვუგდებდი“

ი. ჭავჭავაძე

„ტფილისი საქართველოს
პირველი ქალაქია“

სულხან-საბა
ორბელიანი

„თბილისს პირველი საფუძველი დაუდო ვახტანგ გორგასალმა. სახელწოდება თბილისმა მიიღო თბილი წყლისაგან, რაც თბილისში დღესაც ამოდის“.

პლ. იოსელიანი

„კაცს ყოველგან შეუძლია იყოს, თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს“.

გრ. ორბელიანი

გოლოვინის (ახლანდელი პლეხანოვისა და რუსთაველის) პროსპექტების გავლით გუბერნატორის სამმართველოსაკენ გაემართა. თბილისის ქუჩებში ამ დროს გაისმა ლოზუნგები: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს თავისუფლებას“, „გაუმარჯოს მუშათა ძმობას“. ეს გაფიცვა 14 დღეს გაგრძელდა, და თუმცა დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ როგორც ქართული მარქსისტული გაზეთი „ბრძოლა“ აღნიშნავდა, იგი იყო „გამარჯვება დამარცხებულთა“. ადმინისტრაცია იძულებული გახდა მუშათა ბევრი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, მუშები გამხნევდნენ, მათ ძველებურად აღარ ეშინოდათ წარმოების მეპატრონეებისა.

სამმა სამაისო დღესასწაულმა, აგრეთვე 1900 წლის აგვისტოს დიდმა გაფიცვამ, მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ მეოთხე მაისობა თბილისის მუშებმა ჩაატარეს არა ქალაქგარეთ, არამედ თბილისის ცენტრში, მის მთავარ ქუჩებსა და მოედნებზე, როგორც აშკარა პროტესტი მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

მეფის მთავრობის თვალის ასახვევად დემონსტრაცია ჩატარდა არა პირველ, არამედ 5 მაისს ძველი სტილით.

1901 წლის 22 აპრილს საპირველმაისო დემონსტრაცია იმის ბრწყინვალე დასტური იყო, რომ თბილისის მუშები მტკიცედ გამოვიდნენ რევოლუციის გზაზე, ლენინურმა „ისკრამ“ ამ დემონსტრაციას მთელი კავკასიისათვის „ისტორიულად ღირსშესანიშნავი“ მოვლენა უწოდა. ამის შემდეგ რევოლუციური ქარტეხილები არ შეწყვეტილა, იგი გადიოდა ბათუმში, ბაქოში, კვლავ უბრუნდებოდა თბილისს და უფრო მეტ ძალასა და გაქანებას იძენდა.

თბილისის მუშათა მოძრაობის აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1901 წლის სექტემბერში ამიერკავკასიაში პირველი ლენინურ-ისკრული გაზეთის „ბრძოლას“ გამოსვლას, რომელიც ფართოდ ავრცელებდა მშრომელთა შორის ლენინურ იდეებს. „ბრძოლამ“ მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ 1901 წლის 11 ნოემბერს შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის კომიტეტი. 1903 წლის მარტში თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის ლენინურ ისკრული ორგანიზაციების დელეგატთა ყრილობა და შეიქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირი, რომელიც სათავეში ჩაუდგა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას მთელ ამიერკავკასიაში.

1903 წელს თბილისის მუშები პირველად ებმებიან ისეთ გაფიცვებში, რომლის ფარგლები გასცილდა თბილისს, ამიერკავკასიას და სამხრეთ რუსეთის ქალაქებს მოედო. ამ გაფიცვების ინიციატორები ბაქოს მუშები იყვნენ, თბილისელებმა პირველებმა დაუჭირეს მხარი ბაქოელებს. ლენინური „ისკრა“ ამის შესახებ წერდა: „ბაქოს მიჰყვა თბილისი, თბილისს — კიევი, კიევს — ელიზავეტგრადი, ბოლოს — ოდესა“.

თბილისელმა მუშებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსეთის პირველ (1905—1907 წლების) რევოლუციაში. ამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ მეფის მთავრობამ ასობით დააპატიმრა თბილისელ მუშათა წიაღში აღზრდილი რევოლუციონერები და კატორღაში, ციმბირში გადაასახლა, ბევრი რევოლუციონერი ფიზიკურად გაანადგურა, მაგრამ თბილისელი მუშები მაინც ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ თავიანთი რევოლუციური ტრადიციებისა, მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს თებერვლის რევოლუციაში, აგრეთვე თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დამკვიდრებული მენშევიკური მთავრობის დამხობის საქმეში, ბევრი თბილისელი იბრძოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბარიკადებზეც.

იმ საქმემ, რომლისთვისაც თბილისელი მუშები იბრძოდნენ, გაიმარჯვა, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

**გ. სიხარულიძე,**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



გიორგი კაჭახიძე

# ის საქართველოს თვალია

ხკოლაში, ტოლ-მეგობრებში
მივდივარ, თუ შინ ვბრუნდები,
თვალებს მიბრწყინებს თბილისი
ფერად-ფერადი უბნებით.
ქალარაც არის, ქაბუკიც,
მთელი მშვენებით ჩვენია.
მხნე წინაპრების ნაჯაფი
დულაბად შემორჩენია,
პაპა ამაყობს, რომ თბილისს
კაცურად შეზერდებია.
დღეს მამაც, ჩემი ბიძებიც
თბილისის მშენებლებია.
მეც მიყვარს ხარაჩოები—
ძელი ძელებზე დაკრული.
მზადა ვარ, ძია კალატოზს
რომ მივაწოდო აგური;
მზადა ვარ, ძია მებაღემ
წიგნი მასწავლოს თავისი,
ხე დავახაბლო, შევმატო
ზრდის და სიცოცხლის ხალისი:
—ხალამი თბილისს!—გვწერს ხშირად
მთებში წასული მამიდა.
თბილისს ადიდებს, ვინც ნახა,
ვინც მთაწმინდაზე ავიდა.
ფიქრადაც არ გაივლება
თბილისში მკლავის მოცდენა.
ის საქართველოს თვალია
და ქვეყნიური ოცნება.









მე-19 საუკუნის მიწურულში თბილისის მოქალაქემ, მხატვარმა ვანო ხოჯაბეგოვმა ნახატების მეტად საინტერესო სერიები შექმნა ძველი თბილისის ცხოვრებიდან. აი, ზოგიერთი მათგანი:

ქალაქგარეთ გასულან თბილისელი ხელოსნები. დღიური შრომით მოღლილებს ახლა ქეიფისათვის მოუცლიათ. შიშინებს ნაკვერცხლებზე მწვადი, რაჭველი მესტვირე არსენას ლექსს უმღერის მწვანეზე ფეხმოკეცილ მეგობრებს. არღანს დაირა ენაცვლება, სიმღერას ცეკვა.

ესეც ყოჩების ბრძოლა. ძველ თბილისელ ხელოსნებსა და ვაჭრებში იგი უაღრესად პოპულარული იყო. ზრდიდნენ, ელოლიავებოდნენ და წვრთნიდნენ ყოჩებს თავიანთი პატრონები. ყველას უნდოდა თავის ყოჩს მოეგო ბრძოლა, დაეჯაბნა მოწინააღმდეგის ყოჩი. მაყურებელი მრავლად იყო. მრავალი იყო სანაძლეოც.

იმ თვალის სეირის შემდეგ ალბათ უფრო ტკბილი იყო ყარაჩოღელთა სუფრა, სადღეგრძელო.

გვიან, შეღამებულზე უბრუნდებოდნენ ქალაქს მეგობრები. წინ ზურნა მიუძღოდათ, გამარჯვებული ყოჩი ნებივრად მოსდევდა პატრონს. დამარცხებულის პატრონი კი ალბათ ახალი ბრძოლის გეგმას აწყობდა გუნებაში.



# წარსულის ფურცლები

თბილისს მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი წარსული აქვს, მსოფლიოში იშვიათად არის ქალაქი, რომელიც ჩვენი დედაქალაქის ხნისა იყოს და, ამასთან დღესაც ასე დიდ როლს ასრულებდეს ქვეყნის ცხოვრებაში. როგორც ქალაქი იგი 1500 წლის წინ დაიბადა, მაგრამ მისი, როგორც დასახლებული პუნქტის ისტორია, ამაზე ადრე, კიდევ უფრო შორეულ წარსულში დაიწყო.

მოსახლეობა თბილისსა და მის მიდამოებში ჯერ კიდევ მაშინ გაჩენილა, როცა ჩვენი წინაპრები უმთავრესად ქვის იარაღებს ხმარობდნენ და ის-ის იყო ყველაზე რბილი ლითონის სპილენძის ჭედვას სწავლობდნენ. კაცობრიობის განვითარების ეს პერიოდი ჩვენგან 6 ათასი წლითაა დაშორებული. ასე რომ, ცხოვრება თბილისსა და მის მიდამოებში 4500 წლით ადრე დაიწყო, ვიდრე აქ ქალაქი გაჩნდებოდა.

თბილისის მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნისათვის, თბილისის მოსახლეობას უკვე სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ისეთ შორეულ ქვეყანასთან, როგორიც იყო ბაქტრიის სამეფო. ეს ქვეყანა კასპიის გაღმა მხარეში, შუა აზიაში მდებარეობდა.

თბილისის უძველესი მოსახლეობის შემდგომ დაწინაურებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ის, რომ ეს ტერიტორია ძველი მსოფლიოს უდიდეს სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა. ეს დიდი სავაჭრო გზა ინდოეთიდან მოდიოდა და კასპიის ზღვით, მდინარე მტკვრით, ლიხის გადასასვლელთან და მდინარე რიონით შავ ზღვაზე ქ. ფაზისთან (ფოთთან) ჩადიოდა. ეს გზა, ცხადია, თბილისზეც გადიოდა, სადაც მას, მტკვრის მაღალკლდოვან ნაპირში ადვილად ჰკეტავდნენ. ასე რომ, თბილისის მოსახლეობას ამ გზისთვის კონტროლის გაწევა შეეძლო. ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ძველი წელთაღრიცხვის დასასრულსა და ახლის დამდეგს თბილისის მოსახლეობა კიდევ უფრო გამრავლდა. იმდროისათვის იგი სავაჭრო ურთიერთობას ამყარებს რომთან, ეგვიპტესთან, ბოსფორთან (ყირიმის ნახევარკუნძული), პართიასთან და სხვა ქვეყნებთან.

უკვე გაძლიერებულ და გამაგრებულ თბილისს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა, რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა. მისი ბრძანებით თბილისში დაიწყეს „შენება ქალაქისა“. ეს V საუკუნის 50—60-იან წლებში მოხდა.

ვახტანგ გორგასალის სიცოცხლეში ვერ მოესწრო განზრახვის შესრულება—თბილისში ქალაქის შენების დამთავრება და მისი დედა-ქალაქად გადაქცევა. ეს საქმე მეფემ თავის მემკვიდრეს დაუტოვა ანდერძად. მართლაც, დაჩი ვახტანგის ძის მეფობის დროს, VI საუკუნის დამდეგს, დასრულდა თბილისში ქალაქის შენება და ვახტანგის ანდერძისამებრ, იგი ქართლის სატახტო ქალაქადაც იქცა.

ახლად წარმოშობილ და გაძლიერებულ თბილისს იმთავითვე არ უსვენებდნენ უცხოელი მოძალადეები და მისი ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდნენ. თბილისში ერთ ხანს, VI საუკუნის მეორე მეოთხედიდან, სპარსელები ბატონობდნენ, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ, 626—627 წლებში იგი ხაზარებმა და ბიზანტიელებმა გაძარცვეს. მიუხედავად ამისა, იმდროინდელ თბილისს უცხოელები „სახელოვან დიდ ქალაქად“ იხსენიებდნენ.

თბილისის წინსვლა საგრძნობლად შეაფერხა არაბთა შემოსევებმა. VIII საუკუნიდან თბილისი არაბთა მიერ ქართლში გამოგზავნილი მოხელის—ამირას რეზიდენცია გახდა.

დროთა ვითარებაში თბილისის საამირო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად იქცა; IX საუკუნიდან იგი უკვე აღარ ემორჩილებოდა არაბთა ხალიფას, მას

არც ხარკს უგზავნიდნენ და ქალაქზე მის უფლებასაც აღარ ცნობდნენ. ხალიფები კი ასე ადვილად არ ფიქრობდნენ მდიდარი, ძლიერი თბილისის დათმობას და ჯარს ჯარზე გზავნიდნენ ქალაქისა და მისი ამირას კვლავ დასამორჩილებლად. ეს გამუდმებული ბრძოლა ქალაქის ამირასა და ხალიფას შორის განსაკუთრებულად აზიანებდა ქალაქს: ყველაზე მძიმე თბილისისათვის მე-9 საუკუნის შუა წლებში მოწყობილი ლაშქრობა აღმოჩნდა. ამ დროს ხალიფამ თბილისის ამირას დასამორჩილებლად და ქალაქის ხელახლა დასაპყრობად გამოგზავნა არაბი სარდალი ბუღა თურქი, რომელიც ცნობილი იყო თავისი მრისხანებითა და შეუბრალებლობით.

ბუღას მრავალრიცხოვანი ლაშქარი ორ მხრივ შემოეწყო თბილისს და, როცა იერიშებით ქალაქის ციხესიმაგრეთა აღება შეუძლებელი გახდა, მრისხანე სარდალმა ბრძანა თბილისისათვის ცეცხლი გაეჩინათ.

იმდროინდელი თბილისის სიმაგრეები—ქალაქის კედლები, კოშკები თუ ციხეები, ასევე სავაჭრო და საცხოვრებელი ნაგებობანი უმთავრესად ხისაგან ყოფილა ნაგები. ამიტომ ერთბაშად ავარდა ალი ქალაქში, ცეცხლი მოედო ყველა უმთავრეს ნაგებობას, ცეცხლში იწვოდა თბილისის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა. ეს მოხდა 753 წლის 5 აგვისტოს.

ამ უდიდესი კატასტროფის დროს, არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, თბილისში 50.000 კაცი დაიღუპა და ბუღას ლაშქრობამ დიდად დააზიანა ქალაქი, საგრძნობლად შეამცირა მისი მოსახლეობა და შემდეგში თბილისს მთელი საუკუნე დასჭირდა თავისი ადრინდელი მდგომარეობის აღსადგენად.

მე-X საუკუნის დამდეგიდან თბილისს თანდათან „განეშორა შიში არაბებისა", შესწყდა არაბთა დამსჯელი რაზმების ლაშქრობანი. ქალაქს შედარებით მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა მიეცა და იგი თანდათან დაადგა აღორძინების გზას. ამიტომ იყო, რომ ბუღას ლაშქრობიდან ერთი საუკუნის შემდეგ, მე-X საუკუნის შუა წლებში, იმდროინდელ უცხოურ წყაროებში, თბილისი ისევ „დიდებულ დედაქალაქად", „სიმდიდრით სავსე ადგილად" და „აყვავებულ ქალაქად" არის მოხსენებული.

* * *

მე-10 საუკუნის დასასრული და მე-11 საუკუნის დამდეგი ფეოდალური საქართველოს განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდია. ამ დროს ცალკეულ სამეფო სამთავროთა გაერთიანებით დასრულდა ადრე ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია, შეიქმნა ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქია. თუმცა, ამ დროს, ძირითადად დასრულდა ქართული მიწა-წყლის გაერთიანება, თბილისი ჯერ კიდევ გაერთიანებული ქვეყნის გარეთ იყო, იგი ჯერ კიდევ უცხოელებს ეპყრათ. ამიტომ, გაერთიანებული საქართველოს მეფეებმა, როგორც კი მათ ამის შესაძლებლობა მიეცათ, დაიწყეს ბრძოლა თბილისის შემოსაერთებლად.

გაერთიანებულ საქართველოს მეფეთა შორის ბაგრატ IV-მ პირველმა სცადა თბილისის განთავისუფლება უცხოელთაგან, მაგრამ ხან ახალგაზრდული გამოუცდელობისა, ხან კი დიდგვაროვანთა ხელშეშლით მან ეს საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

უცხოელთა მფლობელობისაგან თბილისის გათავისუფლება მხოლოდ დავით IV, აღმაშენებელმა შეძლო.

დავით მე-VI-მ ზედიზედ გაათავისუფლა საქართველოში თურქსელჯუკთა მიერ დაპყრობილი ციხე-ქალაქები; 1121 წელს დიდგორის ველზე სძლია მაჰმადიანთა მრავალრიცხოვანი კოალიციური ლაშქარი; მოამზადა ნიადაგი თბილისის შემოსაერთებლად... მართლაც, დიდგორის ომის მეორე წელს, მეფემ თბილისი ბრძოლით აიღო. ქალაქმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მეფის ლაშქარს, თბილისი არ ფიქრობდა დამორჩილებოდა მეფის ხელისუფლებას, რადგან თბილისელებს იმ ხანად დამოუკიდებელი თვითმმართველობა ჰქონდათ მოპოვებული, და ცხადია, ისინი ასე ადვილად არ შეელეოდნენ თავისუფლებასა და დამოუკიდებელ თვითმმართველობას.

თბილისის შემოერთების დროიდან დაიწყო სრულიად ახალი ხანა მის ისტორიაში—ამ დროს დაიბადა თბილისი, ერთიანი საქართველოს დედაქალაქი, მისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრი.

ამდროიდანვე დაიწყო აგრეთვე ფეოდალური თბილისის აყვავების ხანაც.

იმატა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ. ზოგიერთი ცნობით, მეცამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისსა და მის გარეუბნებში 100.000 სულზე მეტი ცხოვრობდა.

ქალაქის მოსახლეობისა და მისი დიდი ეკონომიური მნიშვნელობის ზრდის შესაბამისად იზრდებოდა მისი ტერიტორიაც. თუ VI-VIII საუკუნეების თბილისი აბანოების უბნიდან დღევანდელი ბარათაშვილის სახელობის ქუჩამდე და ხიდამდე აღწევდა, მე-12—13 საუკუნეების თბილისის ტერიტორია ვერის რაიონამდე მაინც ვრცელდებოდა.

საქართველოს დედაქალაქში იმ დროს თავს იყრიდნენ არა მარტო ქართველები, არამედ შორეული და ახლო მეზობლები, უცხოელები, არა მარტო ვაჭრები და ხელოსნები, არამედ დიდი პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, პოეტები, ხელოვნებისა და კულტურის სხვა წარმომადგენლებიც. ასე რომ, იმდროინდელი თბილისი მთელი წინააზიის კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო.

* * *

ძლიერი და დიდი ქალაქის შემდგომ წინსვლას წინ იხევ გარეშე ძალა გადაელობა: ჯერ ხორეზმის შაჰის ჯალალ-ედინის, ხოლო შემდეგ მონღოლებისა და თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობები, რაც საუკუნენახევარი გაგრძელდა, ძალზე დახცა თბი-

## ხომ თუ არა იცით?

რომ პირველი საბავშვო ჟურნალი გამოვიდა 1883 წელს. მისი სახელწოდება იყო «ნობათი». გამოდიოდა 1885 წლამდე; სარედაქციო კოლეგიის წევრები იყვნენ: აკაკი, ვაჟა, რაფიელ ერისთავი და სხვები.

რომ ახლო მომავალში თბილისში აშენდება რამდენიმე საბაგირო-სამგზავრო გზა. პირველი მათგანის ტრასა გაივლის რუსთაველის მოედნიდან ფუნიკულიორის ზედა სადგურამდე.

რომ პირველი სამგზავრო-სატვირთო მატარებელი თბილისიდან გავიდა 1872 წელს ფოთის მიმართულებით. შემდეგ წლებში ხაზის მიმართულებით.

რომ სამგზავრო კონკა თბილისში არსებობდა 1883 წლიდან 1910 წლამდე, 1904 წლის 21 ნოემბერს თბილისში ამუშავდა ვიწრო ლიანდაგზე მოსიარულე ელექტროტრამვაი; 1908 წელს თბილისში დაიწყო სიარული მსუბუქმა ავტომანქანებმა. პირველმა ტროლეიბუსმა კი [illegible] ქუჩებში 1937 წლის [illegible] მარტს გაიარა...

რომ 1905 წლის 14 მარტს გაიხსნა თბილისის ფუნიკულიორის მოძრაობა მთაწმინდაზე.

რომ 1910 წელს თბილისის თავზე პირველად გადაიფრინა თვითმფრინავმა. თვითმფრინავი აფრინდა დიდუბის ყოფილი იპოდრომიდან.

რომ ჩაის რამდენიმე ბუჩქი თბილისში გახარებულია რუსთაველის პროსპექტზე, სამხატვრო გალერეის წინ მდებარე ყვავილნარში და პიონერთა სასახლის პარკში. პირველი გაახარეს აგრონომებმა, მეორე—პიონერთა სასახლის ნორჩმა ნატურალისტებმა.

ლისის, როგორც ეკონომიური, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობა.

უცხოელ მოძალადეთა მრავალგზის ლაშქრობას, ყიზილბაშური ირანისა და ოსმალეთის გამუდმებულ ომებს თბილისის ხელში ჩასაგდებად მე-15 საუკუნისათვის ქალაქის მოსახლეობა 10000-მდე შეუმცირებია.

მიუხედავად ამისა, ძნელბედობის ხანაშიც, თბილისი იყო დაშლილი ქვეყნის გამაერთიანებელი მთავარი ცენტრი, ქართველი ხალხის შემამჭიდროებელი და დამრაზმველი ძალა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ქალაქის როლი საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში დიდად გაიზარდა მე-18 საუკუნის დამდეგიდან. მაგრამ ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზაზე შემდგარი თბილისის წინსვლა კვლავ შეფერხდა. 1723 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო ჯერ ოსმალთა, ხოლო შემდეგ ყიზილბაშთა ბატონობის მძიმე წლები. ოსმალობა-ყიზილბაშობა თბილისში 1748 წლამდე მძვინვარებდა.

მხოლოდ მე-18 საუკუნის, მეორე ნახევრიდან შეიქმნა შედარებით ხელსაყრელი პირობები ერთგვარი მშვიდობიანი ცხოვრებისა და ქალაქის ეკონომიური აღორძინებისათვის. 70-იან წლებიდან თბილისში, წვრილი ხელოსნური წარმოების გვერდით, ჩნდება და თანდათან მრავლდება შედარებით მსხვილი სარეწები, რომელნიც არსებითად მანუფაქტურული ტიპის საწარმოები იყვნენ. ამ დროიდან უფრო დიდი რაოდენობით მიდიოდა თბილისური საქონელი, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

თანდათან ფართოვდებოდა თბილისის სავაჭრო ურთიერთობის სფერო. თბილისელი ვაჭრები ამ დროიდან უკვე მიდიან ჩრდილოეთის საკმაოდ შორეულ ქალაქებშიც, მათ შორის მოსკოვშიც.

ქართლ-კახეთში ერეკლე II მეფობის დროიდან თბილისი არსებითად ისევ მთელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი იყო. აქ თავს იყრიდნენ საქართველოს გაერთიანებისა და ქართული კულტურის შემდგომი აყვავებისათვის მებრძოლი პროგრესული მოღვაწეები. აქვე საფუძველი ეყრებოდა ქართველი და სხვა, მეზობელი თუ შორეული, ხალხების მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობასა და მეგობრობას.

დიდი იყო იმდროინდელი თბილისის როლი ქართული კულტურის შემდგომ განვითარებაშიც. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში, კერძო სასწავლებლების გვერდით, გაიხსნა სახელმწიფო სკოლებიც, ისევ განახლდა და ამოქმედდა ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს განადგურებული ქართული სტამბა: დაარსდა ქართული თეატრი, მომრავლდა წიგნთსაცავები, კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა ქართული კულტურის მოღვაწეთა რიგები. ამავე დროს, თბილისი სათავეში ჩაუდგა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეს.

თბილისის აღორძინება და მისი მნიშვნელობის ზრდა უცხოელ აგრესორთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ იყო, რომ ირანის შაჰმა აღა-მაჰმად ხანმა ერთხელ კიდევ სცადა თბილისის აღგვა დედამიწის პირისაგან.

ირანის შაჰის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა 1795 წლის სექტემბერს ომი გაუმართა თბილისის მისადგომებთან, კრწანისის ველზე, მცირერიცხოვან ქართველ მეომრებს. მტერმა, დიდი ზარალის ფასად და შინაგამცემ მოღალატეთა წყალობით, გამარჯვებას მიაღწია.

კრწანისის ტრაგედიამ ერთხელ კიდევ, უკანასკნელი, მაგრამ მძიმე ჭრილობა მიაყენა თბილისს: ქალაქი მოძალადის ხელით გაიძარცვა, გადაიწვა და დაინგრა; მიწასთან იქნა გასწორებული თბილისის ყველა მნიშვნელოვანი სარეწავი და განათლება-კულტურის დაწესებულება, ამ შემოსევიდან რვა წლის შემდეგაც თბილისის მოსახლეობა 15.000 სულს ძლივს აღწევდა. გართულდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობა, გამწვავდა შინაგანი სოციალურ-ეკონომიური კრიზისი.

იმდროინდელი მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების მიუხედავად მტერს ვარაუდი არ გაუმართლდა. ქართველი ხალხის თავდადებული შრომის წყალობით




ნახ. კ. მახარაძისა

თბილისი მალე ისევ ფეხზე დადგა და 1801 წლიდან, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქალაქს ეკონომიური ცხოვრების მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა შეექმნა.

რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების შემდეგ, ცარიზმის მიერ აქ დამყარებულ მძიმე კოლონიური რეჟიმისა და მისი ნება-სურვილის მიუხედავად, შეიქმნა პირობები სოციალურ-ეკონომიური კრიზისიდან გამოსვლისათვის. საქართველო და მისი ქალაქები თანდათანობით ჩაება რუსეთში უკვე მტკიცედ ფეხადგმულ კაპიტალისტურ ურთიერთობათა სისტემაში. თბილისისათვის დადგა ახალი ხანა, ბურჟუაზიული თბილისის დაბადებისა და განვითარების ხანა.

შოთა მესხია,
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

# მთები მოგვითხრობენ

„აღდგა კვალად ერმან ტფილისი,
რა მობრძანდა [illegible].
ქალაქი ისევ ჩქარა აშენდა,
თუმცა აღრინდელს მრავალი
აკლდა".

ნიკოლოზ ბარათაშვილი

„ქალაქს ხალხი ტფილისადაც, და ახლაც თბილისს უძახის, სხვა ქალაქებს ქალაქებად არ თვლიდა და ამიტომ სახელით იხსენიებდა. როცა თბილისში მიდის ვინმე, თავის ღლეში არ იტყვის „თბილისს მივდივარო", არამედ იტყვის „ქალაქს მივდივარო".

სოფ. მგალობლიშვილი

„ვინც პირველად ფეხს შემოდგამს თბილისში, ისეთ შთაბეჭდილებას მიიღებს, თითქოს იგი მოხვდა დიდ ქვაბში, სადაც ყველა ერი და ტომი ღრეობაზეა მოპატიჟებული".

ოვანეს თუმანიანი

„გამარჯობა, ჩემო თბილის
ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო,
ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული
მოვედი.
მთაო წმინდავ, მამა დავითისაო,
შენ, დარბაზო, ქალაქ თბილისისაო,
წმინდა მიწავ, უკვდავ
მწერლებისაო,
მათ საფლავზე სალოცავად
მოვედი".

[illegible]

თბილისის მიდამოები და კერძოდ ის ადგილები, სადაც გაშენებულია ჩვენი დედაქალაქი, საკმაოდ მრავალფეროვანი, რთული გეოლოგიური და გეოგრაფიული მონაცემებით ხასიათდება.

თბილისის მიდამოების თანამედროვე ზედაპირის შესწავლით დადგენილია, რომ შორეულ გეოლოგიურ წარსულში, დაახლოებით 60 მილიონი წლის წინათ, იგი დაფარული იყო ზღვით, რომელსაც ვეებერთელა ტერიტორია ეკავა.

დედამიწის ქერქში მარად მძვინვარე შინაგანმა ძალამ ამ გიგანტურ ზღვაზედაც იმოქმედა და მის ფსკერზე მშვიდად მყოფი ნალექები დიდ ნაოჭებად აქცია. დროთა განმავლობაში ნაოჭები ზღვის ზედაპირზე ამოიზიდნენ და დიდ ქედებად გადაიქცნენ. ეს ქედები თანდათანობით, დედამიწის ზედაპირზე მოქმედი გარეგანი ძალების: ქარის, წყლის, სითბოს და სიცივის ზეგავლენით, საკმაოდ გარდაიქმნენ და დაჰკარგეს პირვანდელი სახე.

თბილისის ზედაპირის გარდაქმნაში დიდი როლი შეასრულა მდინარე წავკისის წყალმა (ლეღვთა ღელემ), სოლოლაკის ხევმა, ვარაზის ხევმა და მდინარე ვერამ. მდინარე წავკისის წყალმა, გადასერა რა თბილისის ზედაპირი, მისგან თაბორის (სეიდ-აბადის) ქედი გამოჰყო, რომელიც მდინარე ტაბახმელასა და მდინარე წავკისის წყლის წყალგამყოფს წარმოადგენს, სოლოლაკის ხევმა კი ხელი შეუწყო მდინარე წავკისის წყლის ქვემო წელსა და სოლოლაკის ხევს შორის მდებარე დაბალი სერის, ეგრეთწოდებული სოლოლაკის სერის, აღმოცენებას, ეს ის მთაა, სადაც დღეს კომკავშირის ხეივანია გაშენებული. ვარაზის ხევმა თავის მხრივ უძოს ქედის ჩრდილო ფერდობიდან კუს ტბის სერი გამოჰყო, რომლის კალთის ძირშიც, ბუნებრივ ტაფობში თვალწარმტაცი ვაკის პარკია გაშენებული. მდინარე ვერამ კი, თავის მხრივ, ლისის ველსა და მდინარე ვერას ქვემო წელს შორის არსებულ დელისის სერის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

თბილისის მიდამოების ნაოჭა ქედების გარდაქმნაში საკმაოდ დიდი როლი შეასრულა მდინარე მტკვარმა, რომელიც განივად ჰკვეთს მათ და საკმაოდ ღრმა, განიერ, ტერასებიან ხეობას წარმოშობს. ამ ტერასზეა სწორედ გაშენებული თბილისი და მის მახლობლად მდებარე ზოგიერთი სოფელი (ზემო ავჭალა, დიღომი, სოღანლუღი).

მდინარე მტკვარმა თავისი არსებობის მანძილზე 6 ტერასი შეჰქმნა.

მტკვრის კალაპოტის გასწვრივ yურადღებას იპყრობენ ჭალის ტერასები. ისინი აგებული არიან მდინარე მტკვრის მიერ დალექილი ნაშალი მასალით. მათზე კარგად ხარობს სინესტის მოყვარული მცენარეები. როგორც მდინარე მტკვრის ხეობაში შემორჩენილი ზოგიერთი ადგილების გეოგრაფიული საჰელწოდებიდან ჩანს, (მაგალითად, „ავჭალა", „ორთაჭალა" „დირსიჭალა" და სხვა) უწინ აქაც უნდა ყოფილიყო დაბურული და გაუვალი ტყეები.

მდინარე მტკვარს თბილისისა და და მისი მიდამოებისათვის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

მტკვრის მარჯვენა შენაკადებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მდინარე წავკისის წყალი (ლეღვთა ღელე), რომლის ქვემო წელში გაშენებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესანიშნავი ბოტანიკური ბაღი, სადაც თავმოყრილია მრავალი ქვეყნის მცენარეთა მდიდარი სახეობანი.

მდინარე წავკისის, წყლის სათავე მდებარეობს ფოთლოვანი ტყით დაფარულ უძოს მთის სამხრეთ ფერდობზე, სოფელ წავკისისა და ცნობილი აგარაკის — კოჯრის მახლობლად. მისი სიგრძე დაახლოებით 8 კილომეტრია.

ქალაქის ფარგლებში მტკვრის არხნაკლებ მნიშვნელოვან შენაკადს წარმოადგენს აგრეთვე მდინარეც, რომლის სათავე თრიალეთის ქედის მწვერვალ დიდ-გორის მახლობლად მდებარეობს. ეს მდინარე 32 კილომეტრის სიგრძისაა და ლამაზ, ვიწრო ხეობაში მოედინება. მდინარე ვერას ქვემო ნაწილში, მის მარცხენა სანაპიროზე გაშენებულია თქვენთვის კარგად ცნობილი თბილისის ზოოლოგიური პარკი.

იქ, სადაც ახლა „თბილისის ზღვა" მდებარეობს, 1951 წლის ნოემბრამდე სამი ერთიმეორის მახლობლად მდებარე მლაშე ტბა იყო: კუკიის, ილგუნინისა და ავლაბრისა. აღნიშნული ტბები ერთ დიდ, საერთო ბუნებრივ ქვაბულში მდებარეობდნენ, რომლის აღმოცენებაც დაკავშირებული უნდა იყოს მტკვრის მოქმედებასთან შედარებით ახლო გეოლოგიურ წარსულში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამგორის ზემო სარწყავი არხი, რომლის საერთო სიგრძე 41 კილომეტრია. ერთ-ერთი საყურადღებო ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. იგი ამჟამად 40 ათას ჰექტარ ფართობს რწყავს. არაგვზე აგებულია: საცხენისის, მარტყოფისა და თეთრი ხევის ელექტროსადგურები.

**ი. ჯიბლაძე,**
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

„განვიდა ტფილისად და მაღიარობდა მარტო და [illegible]".

[illegible]

„ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისსა და საფუძველი ოდენ დაედვა... დაჩი მეფემან განასრულა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითარ ებრძანა ვახტანგს ეგე შექმნა სახლად სამეუფოდ".

ჯუანშერი

„მცხეთა ალთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალაი განდიდდებოდა".

სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონი

„ერთმან იხუმრა: ვიბანებ
თბილისს აბანოს ნურითა,
მეორემ—თევზით გავძღები
ზურგიელ-გელაქნურითა;
მესამემ—მივიზრუნებ
ღვინითა ატენურითა".

დ. გურამიშვილი

„დავდიოდი ჩემს დედაქალაქში ჩემს მოძმეთა შორის, ჩემს საყვარელთა შორის, რომელთაც ვილტვოდი, ისე განუსაზღვრელად მაახლოვებდა მთელი ჩემი არსება".

ალ. ყაზბეგი

ასე გამოიყურებოდა საქართველოს გასაბჭოებამდე მტკვრის სანაპირო.

ცხენშებმული ე. წ. „კონკა" ძველ თბილისში საუკეთესო ტრანსპორტად ითვლებოდა.

რუმბებით ეზიდებოდნენ წყალს მტკვრიდან თბილისელი მეთულუხჩეები.









# მთაწმინდა

ა. ბაბესკირია

ნახატები გ. როინიშვილისა

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს თბილისი, მას სამუდამოდ ჩარჩება მახსოვრობაში ქალაქის თავზე ამაყად გადმომდგარი მთაწმინდა.

ქალაქის შუაგულში ზღაპრულ გემივით შემოჭრილი კლდოვანი მთაწმინდა ძველ დროიდანვე იზიდავდა გამოჩენილ მოგზაურთა ყურადღებას. მას ჯერ წმინდა დავითის მთას—მამადავითს უწოდებდნენ. ეს სახელწოდება დაკავშირებულია ვინმე ბერ დავითთან, რომელიც გადმოცემით, ამ მთაზე დასახლებულა მეექვსე საუკუნეში. ბერი დავითის შესახებ შემდგომში ხალხს სხვადასხვა საკულტო ხასიათის ლეგენდები შეუთხზავს.

მეთექვსმეტე საუკუნეში მამადავითის შუა კალთაზე ტაძარი აუშენებიათ და მისი მიდამოები გამოჩენილ ადამიანთა სავანედ გაუხდიათ. ამ დროიდან უკვე იხსენიება მთის სახელწოდება — მთაწმინდა.

დიდმა რუსმა მწერალმა ა. ს. გრიბოედოვმა მთაწმინდას „თბილისის პოეტური საკუთრება“ უწოდა. მართლაცდა, მომხიბლავია მთაწმინდა. ის ქართველთა საყვარელ ადგილად ითვლებოდა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა არაერთი სტრიქონი უძღვნა მის მშვენებას:

„ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს სალამოს, დაშთნენ ამოს, ციაგნი ნელნი!“

მთაწმინდა განსაკუთრებით გალამაზდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ვერანი და უდაბური მთის ფერდობები დაიფარა წიწვიანი ტყითა და ნაირფერ ყვავილებიანი ბუჩქებით. საბაგირო რკინიგზის ზედა სადგურზე აგებულ იქნა სვეტებიანი მონუმენტური შენობა, რომლის ლამაზი თეთრი ხართულები თბილისის ყოველ კუთხეს დაჰყურებს. ამ შენობის უკან იწყება აღმართზე მიმავალი განიერი ქვის კიბეები, რომელსაც ი. ბ. სტალინის დიდ მონუმენტთან მივყავართ, საიდანაც ირგვლივ იშლება ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ლამაზი პანორამა.

სიმწვანითა და ყვავილებით ხატავს მთაწმინდა ზამთრისაგან გამოღვიძებულ თბილისს. გაზაფხულის პირზე, როცა თბილისელები პირველ ყვავილებს შენიშნავენ მთაზე, ამბობენ: მთაწმინდაზე გაზაფხული მოსულაო.

ვის არ მოხიბლავს მთაწმინდის სილამაზე? თბილისელებს კი განსაკუთრებით უყვართ ეს საამაყო მთა. ისინი იშვიათად თუ ჩაივლიან ქუჩებში ისე, რომ თვალი არ შეავლონ მთაწმინდას. მაგრამ განა მარტო თბილისელებს ხიბლავს იგი? არა, მთაწმინდა მიმზიდველია ყველასათვის. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ზაფხულის თვეებში, როდესაც თბილისის გასაცნობად უამრავი სტუმარი ჩამოდის მოძმე რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან. ისინი რუსთაველის პროსპექტიდან გატაცებით უცქერიან მწვანეში ჩაფლულ პანთეონს, სადაც განისვენებენ ჩვენი ქვეყნის დიდი შვილები; თვალს ვერ აცილებენ მთაწმინდის მწვერვალისაკენ მიმავალ საბაგირო რკინიგზას, რომელზედაც განუწყვეტლივ მოძრაობენ ხალხით სავსე ვაგონები. სტუმრები ეცნობიან მთაწმინდის ისტორიას და მიეშურებიან მის დახათვა-



ლიერებლად. ექსკურსია იწყება საქართველოს პანთეონის გაცნობით.

ქალაქიდან ორი გზა მიემართება პანთეონისაკენ. ფეხით, ან მანქანებით, მგზავრები ბესიკის ქუჩას მიჰყვებიან და პირდაპირ პანთეონის კარებს მიადგებიან: ზოგნი საბაგირო გზას არჩევენ, სხდებიან ვაგონში, რომელიც პანთეონის დამთვალიერებლებისათვის მთის შუა კალთაზე ჩერდება. აქედან ეშვება პატარა ბილიკი ტაძრისაკენ.

პანთეონში შესვლისთანავე მნახველთა ყურადღებას იპყრობს კლდეში გამოკვეთილი აკლდამა, სადაც დასაფლავებულია რუსული ლიტერატურის კლასიკოსი ა. ს. გრიბოედოვი. საფლავის ქვაზე დგას მწუხარე ქალის ქანდაკება.



ა. ს. გრიბოედოვი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან. 1828 წელს მან შეირთო დიდი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ნინო, რომელიც შემდგომ მისი ერთგული მეგობარი გახდა. საქართველოში დაწერა გრიბოედოვმა უკვდავი კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

გრიბოედოვმა მთელი არსებით შეიყვარა ქართველი ხალხი, საქართველოს ბუნება. სპარსეთში გამგზავრების წინ მან თავის მეუღლეს ნინოს ანდერძად დაუტოვა: თუ სპარსეთში მოვკვდე, ნუ დასტოვებ იქ ჩემს ძვლებს, თბილისში მამადავითის მონასტერში დამკრძალეთო. ნინო ჭავჭავაძემ მეუღლეს სურვილი შეუს-




რულა; თეირანში დაღუპული პოეტი გადმოსვენებულ იქნა თბილისში, ქართველმა ხალხმა მისი ნეშტი მწუხარებით მიაბარა მთაწმინდის მიწას.

აკლდამაში ა. ს. გრიბოედოვის გვერდით დასაფლავებულია მისი მეუღლე ნინო ჭავჭავაძე.

კიბეებით პანთეონის ზედა ნაწილში ასვლისას მარჯვნივ ყურადღებას იქცევს სვეტად ამართული ძეგლი. ზედ ჩანგია დადგმული. ეს ძეგლი ქართველმა ხალხმა აუგო თავის საყვარელ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს.

პანთეონის უკანა კედელთან აღმართულია შესანიშნავი ძეგლი, რომლის ვარდისფერ ქვის ფონზე შორიდანვე გარკვევით მოჩანს ბრინჯაოსგან გამოკვეთილი მწუხარე ქალის ფიგურა, რომელსაც ხელში უჭირავს დაფნის ტოტი და ოდნავ დახრილი დასტირის საფლავს, რომლის ქვაზე ასეთი წარწერაა: „ილია ჭავჭავაძე 1837-1907 წ.“ ძეგლი განასახიერებს იმ დიდ მწუხარებას, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა ბუმბერაზი მწერლისა და საზოგადო მოღ-



ვაწის ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის გამო.

ამ ძეგლის დათვალიერების შემდეგ მაყურებლის თვალი ძალაუნებურად დაეძებს ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის, მეორე ბუმბერაზის, აკაკი წერეთლის საფლავს.

აკაკის საფლავი პანთეონის მარჯვენა მხარეზეა. საფლავზე ერთი მეორეზე სიმეტრიულად დაწყობილია შავი მარმარილოს პრიალა ქვები. ზედ დადგმულ, გვერდზე შებრუნებულ მარმარილოზე გამოსახულია ჩანგი. შუა ქვაზე შორიდანვე გარკვევით მოჩანს წარწერა: „აკაკი“.

აქვე, გვერდს ვერ აუვლის მნახველი საფლავზე დადგმულ ნაცრისფერ ლოდს, რომელზედაც ამოკვეთილი წარწერის გარეშეც ყველანი ადვილად ჰხვდებიან, რომ ქვეშ განისვენებს მაღალი მთების შვილი ვაჟა-ფშაველა.

მთაწმინდის მიწას აბარია ქართული ლიტერატურისა და კულტურის დიდი მოღვაწეების: დავით კლდიაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის, ვასილ ბარნოვის, იაკობ ნიკოლაძის, ვასო აბაშიძის და სხვა გამოჩენილ ადამიათა ნეშტები. აქვეა დასაფლავებული იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დედა ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი. საქართველოს კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები—მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და სხვანი.

დიდებული პანთეონი ყოველდღიურად მრავალ მნახველს იზიდავს. თბილისელებთან ერთად საქართველოში ჩამოსული სტუმრები დაკვირვებით ათვალიერებენ პანთეონში მოთავსებულ ყოველ საფლავის ქვას, ეცნობიან ჩვენი ხალხის სახელოვან შვილებს და წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსენი განაგრძობენ გზას საბაგირო რკინიგზით მთაწმინდის მწვერვალისაკენ.




«ტფილისი ბაბ-ელ-აბვაბზე (ახლანდელი დერბენტი) უფრო პატარა ქალაქია, ქალაქს გარს არტყია თიხის ორი კედელი, მათში სამი კარია. ტფილისი ნაყოფიერი ქალაქია, გამაგრებული, მდიდარი ძაფფასიანი სანოვაგით; თავისი კეთილდღეობით იგი სხვა მდიდარ სახელმწიფოებს აღემატება... თბილისის მოსახლეობის შორის უცხოელთათვის გაბატონებულია უშიშროება და გულგრილობა; ისინი მეგობრულად ეპყრობიან ყველას.

არანში (არაბები დღევანდელ ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს არანს უწოდებდნენ) არ არის სხვა ქალაქი, რომელიც თავისი სიდიდით ბერდაჰას (ძველი ნაქალაქარი მტკვრის სანაპიროზე), ბაბს (იგივე დერბენტი), და ტფილისს სჭარბობდეს».

მე-10 საუკუნის არაბი სოვდაგარი, გეოგრაფი და მოგზაური
იბნ-ჰაუკალი

«არის საუცხოო ქალაქი, სახელად ტფილისი, მას გარს არტყია გარეუბნები და მრავალი ციხე-სიმაგრე, აქ ამზადებენ აბრეშუმს და მრავალ სხვა ქსოვილს»...

მე-13 საუკუნის ვენეციელი მოგზაური მარკო-პოლო

«ტფილისში არის საუცხოო საზოგადო შენობები, ბაზრები, ესე იგი სავაჭრო ადგილები, ფართოა, აგებულია ქვისაგან და კარგად მოვლილი. ესევე შეიძლება ითქვას ქარვასლებზე, იმ სადგომებზე, სადაც უცხოელები ჩერდებიან... ყველა დადის ცხელწყლიან აბანოებში, რომლებიც ციხეშია. ამ აბანოებში ძალიან ცხელი გოგირდის მინერალური წყალია..

ტფილისის მიდამოებში მრავალი ვილა და საუცხოო ბაღია.. ქალაქი ტფილისი მჭიდროდ არის დასახლებული. აქ უცხოელთა ისეთი სიჭრელეა, როგორსაც სხვაგან კაცი ვერსად შეხვდება. აქ დიდი ვაჭრობაა, მთავართა კარზე მრავალი დიდებული და წარჩინებული პირია; იგი იმდენად მრავალრიცხოვანი და საჩინოა, რომ სავსებით შეესაბამება ოლქის დედაქალაქს»...

მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაური და კომერსანტი შარდენი

«ტფილისი საკმაოდ დიდი და მრავალრიცხოვანი ქალაქია... ციხეს მშვენიერი მდებარეობა აქვს ქალაქის თავზე... აბანოებს ძალიან კარგად ინახავენ. ისინი შეიძლება ითქვას, ქალაქის მოსახლეობის ერთადერთ გასართობს წარმოადგენენ. ბაზარი სავსეა ყოველგვარი ხილით, ბევრია განსაკუთრებით ქლიავი და საუცხოო მსხალი... სასახლის მახლობლად საუცხოო ბაღებია, რომლებსაც ბევრად უკეთესად უვლიან, ვიდრე ოსმალეთში. ამ ბაღებში აღტაცებაში მოგვიყვანა პირწმინდა მცენარემ («Persicaire«), რომელსაც ისეთივე ფოთლები აქვს, როგორც თამბაქოს».

მე-18 საუკუნის ფრანგი ბოტანიკოსი ტურნეფორი

«თბილისის მაშინდელი მოსახლეობა თავს ირჩენდა უმთავრესად, ვენახებით და ბაღებით, განსაკუთრებით ბევრს სთესენ ბამბას. მათ შორის ბევრი მისდევს ვაჭრობას, მაგრამ მეტწილად წვრილმან ვაჭრობას; მათ დუქნებში ყოველთვის მოიპოვება ჩვეულებრივი მატერიები, წვრილმანი საგნები, სურსათ-სანოვაგე, სურნელოვანი სანელებლები და სხვა. სხვები მისდევენ ხელოსნობას; ბევრია მეტყავე, დამჩითავი, ფეიქარი და მეთუნე ... დელი»...

მე-18 საუკუნის გერმანელი მეცნიერი,
იოჰან-ანტონ გიულდენშტედტი

თბილისს კარგი საჭადრაკო წარსული აქვს. როგორც ცნობილია, ძველ თბილისზე გადიოდა მრავალი სავაჭრო გზა, რაც ხელს უწყობდა ქართლის სატახტო ქალაქში კულტურის განვითარებას. საქართველოში არაბთა შემოსევამდე (VII—VIII ს.) ინდოელმა ვაჭრებმა ჩამოიტანეს თბილისში უცხო თამაში, რომელმაც თავისი გონიერი შინაარსით მოხიბლა ქართველები.

მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ თამაშობდნენ ჭადრაკს ჩვენი მამა-პაპანი, მაგრამ ძველი ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი გვამცნობს, რომ ჭადრაკი საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის საყვარელ თამაშად რჩებოდა. მხოლოდ მე-7 საუკუნეში, როცა ქართველმა ერმა მოიპოვა თავისუფლება და იწყო სულიერი კულტურის აღორძინება, ჭადრაკმაც შეისხა ფრთები. სულხან საბა ორბელიანის ცნობით, ამ დროს, თბილისში, არსდება ჭადრაკის სათამაშო ადგილი („სამორინე“). ჭადრაკს უმღერიან პოეტები: თეიმურაზ II, არჩილი, ბესიკი. ეს ბრძნული თამაში სულ უფრო ხალხური ხდება. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება ის, რომ შეძლებული ოჯახები, დიდი პატივის ნიშნად, გასათხოვარ ქალს „ვეფხის ტყაოსანთან“ ერთად მზითვად სპილოს ძვლისაგან ნაკეთებ ჭადრაკს ატანდნენ.

თბილისის საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემა უფრო ინტენსიური გახდა მე-19 საუკუნეში. 30-იან წლებში თბილისის რუსული გაზეთი იუწყება, რომ თბილისელთა ოჯახებში იმართება შეჯიბრებები, რომლებშიც ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. 80-იან წლებში თბილისში იმართება შეხვედრები და მატჩები სახელგანთქმულ ქართველ მოჭადრაკე ა. დადიანთან, ამ შეჯიბრებებს ესწრებიან ქართული საზოგადოებრიობის წარჩინებული პირნი. არსდება ჭადრაკის შემსწავლელი წრე და ეწყობა მასობრივი შეჯიბრება ქართულ არტისტულ საზოგადოებაში (ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელობის კლუბი).

**თ. გიორგაძე,**
**ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.**



«თბილისი მდებარეობს მტკვრის ნაპირებზე, კლდეებით შემორტყმულ ხეობაში. ეს კლდეები იცავენ მას ყოველი მხრიდან ქარებისაგან. მისი სახელი (თბილის-ქალაქი) ცხელ ქალაქს ნიშნავს».

ა. პუშკინი

რომ თბილისის პირველი საშუალო სკოლა გაიხსნა 156 წლის წინათ, ესე იგი 1802 წელს. ამ სკოლაში სწავლობდნენ ცნობილი მწერლები: გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი. რ. ერისთავი; გამოჩენილი სწავლულები: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი. ა. ხახანაშვილი; ცნობილი მოღვაწეები: ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ა. სუმბათაშვილი-იუჟინი, ვ. აბაშიძე, კ. მარჯანიშვილი და სხვები.

რომ თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა დაარსდა 1846 წელს. ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და სხვები.

რომ 1850 წლის 2 (14) იანვარს თბილისის გიმნაზიის შენობაში წარმოდგენილი იქნა კომედია «გაყრა». ეს დღე ითვლება ქართული თეატრის აღდგენის თარიღად.

რომ 1935 წლის 24 ივნისს თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტრისა და დასვენების პარკში გაიხსნა საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა.

რომ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურისტებმა 17 წლის მანძილზე გაიარეს 3.208.980 კილომეტრზე მეტი. მათ რომ ეკვატორის მიმართულებით ევლოთ, ამ მანძილით დედამიწას 80-ჯერ შემოივლიდნენ.

რომ საქართველოს მუზეუმში ინახება 870.000-ზე მეტი ექსპონატი სამსართულიან ვეებერთელა შენობის დარბაზებში გამოფენილია მხოლოდ 20.000 ექსპონატი. დანარჩენი ექსპონატებიც რომ გამოიფინოს, საჭიროა კიდევ 40 ასეთი შენობა აშენდეს.

რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის აგება დამთავრდა 1937 წელს. იგი აგებულია არქიტექტორის აკადემიკოს ა. ვ. შჩუსევის პროექტით, შენობის მხატვრულ გაფორმებაში მთავარი ადგილი უჭირავს სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძისა და მოქანდაკე თამარ აბაკელიას ნამუშევრებს. მთელი შენობის ფართობი 75.000 კუბური მეტრია.




# კრივი

ძველი თბილისის მოსახლეობის ერთ-ერთი საყვარელი გასართობი იყო მუშტი-კრივი. საღამოჟამს, განსაკუთრებით უქმე დღეებში, აუარებელი ხალხი მიემართებოდა ახლანდელი ავლაბრის განაპირა ადგილებისაკენ. იქ, მინდორში, ორ ჯგუფად, ერთმანეთის პირდაპირ დგებოდნენ გარეთუბნელი და ძველი ქალაქის მცხოვრებლები. ორივე მხარე ცდილობდა პირველი შეტევისათვის რაც შეიძლება ხელსაყრელი, უმეტესად ამაღლებული ადგილი აერჩია. მაგრამ ბრძოლა ასე ადვილად როდი იწყებოდა, ჯერ ატყდებოდა ზურნის ჭიჭყინი, დაიწყებდა ბაგა-ბუგს დოლი, გამოეყოფოდა ერთ ჯგუფს რამდენიმე ოხუნჯი-მასხარა და მკლავებდაკაპიწებული მოპირდაპირე მხარის გამასხარავებას და დაცინვას დაიწყებდა, უკანიდან კი თავისიანები ყვირილითა და აურზაურით ამხნევებდნენ. ახლა მოპირდაპირე მხარეც გამოუშვებდა თავის ოხუნჯებს, რომლებიც ცდილობდნენ არ ჩამორჩენილიყვნენ მოწინააღმდეგეს, რაც შეიძლება დამამცირებელი და გამაღიზიანებელი პასუხი გაეცათ მათთვის. ბოლოს ყველაზე გამბედავი, ჯანიანი მოკრივე გაიჭრებოდა წინ, მას გაჰყვებოდა სხვაც და იწყებოდა მუშტი-კრივი. ხან ერთი მხარე დაძლევდა, წაიწევდა წინ, ხან მეორე და ასე, აუწერელ ყვირილსა და აურ-ზაურში მთავრდებოდა დღე.

გამარჯვებულები სიმღერით ბრუნდებოდნენ უკან.

მეორე დღეს ქალაქში ბევრს შეხვდებოდით თავ-ფეხ შეხვეულს, თვალებჩალურჯებულს.

ხდებოდა ხოლმე, რომ ასეთი მუშტი-კრივის დროს ვინმე კვდებოდა კიდეც. ასეთ შემთხვევაში ხალხი დიდ გულისყურს იჩენდა, პატივისცემით ასაფლავებდა გარდაცვლილს, მის შინაურებს კი ფულით ეხმარებოდნენ და მზრუნველობას არ აკლებდნენ.

მაგრამ ასეთი უბედური შემთხვევები ვერ ანელებდა მოსახლეობის ინტერესს მუშტი-კრივისადმი და ხალხი კვლავ დიდი ხალისით მონაწილეობდა მასში, ხოლო მაყურებელი ხომ სულ გამოულევლად იყო.

თ. ჟორდანია

# გასართობი

## კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. ეკლესია თბილისში; 2. მდინარეზე გადასვლის საშუალება ძვ. თბილისში; 3. თბილისის ერთ-ერთი უბანი; 4. სანაოსნო საშუალება ძვ. საქართველოში; 5. მგზნებარე რევოლუციონერი, რომელიც თბილისში მოღვაწეობდა; 6. ხეობა საქართველოში; 7. ცნობილი იგავთ მწერალი; 8. „ვეფხის ტყაოსნის“ პირველი დამსურათებელი მხატვარი; 9. ქართული საბავშვო ჟურნალი; 10. ცნობილი რევოლუციონერი.

**ჰორიზონტალურად:** 11. პოეტი მომღერალი; 12. დიდი რუსი მწერალი, რომელმაც თავისი პირველი ნაწარმოები თბილისში დაბეჭდა; 13. ქართველი მწერალი; 14. ცნობილი ქართველი მსახიობი; 15. უბანი თბილისში; 16. ხევის სახელი თბილისში; 17. უბანი თბილისში; 18. დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სახელი; 19. ციხე-სიმაგრე თბილისში; 20. უბანი თბილისში; 21. დიდი პოეტის სახელი.

## თავსატეხი

ა-ჩვე; ტ-ჭა; მ-ნი; ჩ-ას; ჟ-ქა; ძ-თა; ნ-ერი; ჰ-ა; გ-საყ; თ-შობ; ო-დე; ე-რე; ლ-ვე; ბ-ნი; ც ხუ; ს-ქი; ქ-თბი; ჯ-ა; შ-ათ; რ-ლა; ვ-ლი; ი-ლოსკ-ვა; წ-სი; ყ-სი; კ-მშ; პ-და; უ-ლა; ღ-ლი; ხ-ის; ზ-სამ; ჭ-წლ; ფ რა.

ქართული ანბანის რიგის მიხედვით ამოხსენით ეს თავსატეხი.

რ. თავდიდიშვილი

## პასუხი „პიონერის“ № 8-ში მოთავსებულ გასართობზე

### პასუხი „კროსვორდზე“

**ვერტიკალურად:** 1. ევერესტი; 2. პრიპიატი; 3. ანტენა; 4. ატლასი; 6. ნიზამი; 7. მესტია; 14. პაი; 15. ჩაი; 17. მოცარტი; 19. ტარიელი; 20. „მერანი“; 21. იემენი; 22. ფოსტა; 24. იფანი; 29. აისი; 30. ილია; 33. ოდა; 34. ოცი.

**ჰორიზონტალურად:** 5. უნივერსიტეტი; 8. იდეა; 9. ეტლი; 10. ბადე; 11. „ნანა“; 12. სტარტი; 13. იეტი; 16. შიმშა; 18. ალტაი; 20. მილი; 22. ფიცი; 23. ერგი; 25. პრიზმა; 26. სარფი; 27. ოდესა; 28 ონიანი; 31. სიონი; 32. „ალი“; 35. ინდუქცია.

### პასუხი „გამოცანაზე“

ცეცხლი.

### პასუხი „შარადაზე“

ჯიხვი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. № 9, 1958. Тбилиси

Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 06503 ტირ. 14.000, ხელმოწერ. დასაბ. 3/IX-58 წ. სტამბის შეკვ. № 255, გამომც. შეკვ. № 454. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

## თბილისის გმირებს

თავს მუზარადი გეხურათ,
ხელში გეჭირათ ხმალი,
ორბის მუხლებით დაფრენდით
და მჭრელი გქონდათ თვალი.

აი, თბილისი... აყვავდა
თქვენი მშობელი მხარე,
მას ველარ იცნობთ, რომ ადგეთ,
რისთვისაც სისხლი ღვარეთ.

დღეს საქართველო გიგონებთ
გადმოაფრინეთ რაში,
თქვენი თბილისი ზეიმობს
თქვენთვისაც ისმის ტაში!

**სერგო ბიწკინაშვილი,**
გურჯაანის რაიონის სოფ. შაშიანის საშ.
სკოლის VII კლ. მოსწავლე.




პლაკატი
მხატვარ ირ. გორდელაძისა

ნ. 42/205
5. 8/119
ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

9
სექტემბერი
1958